საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 სექტემბერი, 2014 წელი.

№196 (7577)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

ქართველთა და აფხაზთა ტრაგედიის პირისპირ

ჭიული შარტავა - ალმასვლა გოლგოთაზე

6

ნიკოლოზ მჟავანაძე

ამ ხელისუფლებას საცვლების ამარა რომ გამოეყვანა ნაციონალები, ასპროცენტიანი რეიტინგი ექნებოდა

4

ზვიად ძიძიგური:

ჰუმანურობა არ ნიშნავს, რომ პატიმრები ყირაზე გადავიდნენ!..

5

◎ მიმართვა

სამინისტროს არა აქვს მეცნიერების სწორი ხედვა, რაც საბედისწერო აღმოჩნდება ქართული მეცნიერებისათვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს
საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ივანე კილურაძეს

ღრმა და ყოვლისმომცველი კრიზისი, რომელიც წინა ხელისუფლების გამიზნული პოლიტიკის შედეგად განადგურებით დაემუქრა ქართულ მეცნიერებას, მართლაც მძიმე მემკვიდრეობად ერგო საქართველოს ახალ ხელისუფლებას; მაგრამ ამ კრიზისის დაძლევის იმედს იძლეოდა ის, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ლიდერთა განცხადებებში მეცნიერების საკითხი პრიორიტეტთა შორის სახელდებოდა. დაპირებების მიუხედავად, გასული ორი წლის განმავლობაში პრობლემის გადასაწყვეტად არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადაიდგა.

იხ. 3 გვ.

ქვეყანა იმართება ან შიშით, ან საქმით!

რომელს ავირჩევდით ჩვენ?

8

ილია II:

როცა კარგად იყო საქართველო, კარგად იყო სომხეთიც...

საქართველო და სომხეთი მუსლიმურ სამყაროში ქრისტიანული ოაზისი არიან, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საპატრიარქოში სომეხთა თემის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

საპატრიარქოში შეხვედრას პოეტი გივი შაჰნაზარი, საქართველოში სომეხთა კავშირის, ასევე საპატრიარქოსთან არსებული რელიგიათა შორის ურთიერთობების საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ქართველებსა და სომხებს შორის ურთიერთობების გამყარებაზე და კეთილგანწყობის შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

„ძალიან რთულ დროს ვცხოვრობთ. საერთაშორისო ურთიერთობები ძალიან რთულია. მახსენდება ჩემი შეხვედრა რომის პაპთან ვატიკანში. მან გადმოიღო ატლასი და საქართველოსა და სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა ნახა. მითხრა, თუ როგორი რთული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს საქართველოსა და სომხეთს, რომ ისინი არიან ქრისტიანული ოაზისი. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ესა თუ ის წარმომადგენელი ჩვენი ერის, ეს იქნება ქართველი თუ სომეხი, ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ავნებს ჩვენს ურთიერთობებს“, — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა საქართველოში სომხეთის კათოლიკოსის გარეგინ მეორის ვიზიტი და მასთან საუბრის დეტალებიც გაიხსენა. პატრიარქის თქმით, მან მიმართა გარეგინ მეორეს, რომ სომხეთიდან საქართველოს მიმართ გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ბევრი უარყოფითი წერილები იგზავნება.

„მე ვუთხარი მას, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. ჩვენ არ უნდა ვწერდეთ ერთმანეთზე, საქართველო არ დაწერს არავითარ უარყოფითს საერთაშორისო ორგანოზაციებში. ასე რომ, თქვენი იმედი მაქვს, რომ თქვენ გესმით, რას ნიშნავს ჩვენი სიახლოვე. როცა კარგად იყო საქართველო, კარგად იყო სომხეთიც და პირიქით, როცა ცუდად იყო საქართველო, ცუდად იყო სომხეთიც. ამიტომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ურთიერთობებს. მე მინდა ვთქვა, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები ამას კარგად გრძნობენ, მე მადლობელი ვარ ამ ყურადღებისა და გაგებისათვის“, — აღნიშნა სრულიად საქართველოს პატრიარქმა.

ამასთან, შეხვედრაზე მყოფმა სომხური დიასპორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, **რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და საქართველოს ტკივილი მათი ტკივილია. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გაგებით ეკიდება მათ სპეციფიურ საკითხებს და იმედი გამოთქვეს, რომ ერთად ნებისმიერ პრობლემებს გადალახავენ.**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მაია პლისეცკაიას შეხვდა

აძ მოვდივარ როგორც ტაძარში, – ეს განცხადება რუსმა ბალერინამ მაია პლისეცკაიამ საქართველოს საპატრიარქოში გააკეთა, სადაც კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შეხვდა.

საპატრიარქოში იმყოფებოდნენ ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე და სხვა თანხმლები პირები.

შეხვედრის დასაწყისში პატრიარქმა მადლობა გადაუხადა მაია პლისეცკაიას სტუმრობისათვის.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ საქართველო მდიდარია მუსიკალური ნაწარმოებებით, აქ სიყვარულით ხვდებიან მაია პლისეცკაიას.

კათოლიკოს-პატრიარქმა ჰკითხა მაია პლისეცკაიას, ჩამოუტანა თუ არა მას საჩუქრად ფოტოალბომი, რაზეც მაია პლისეცკაიამ სინანული გამოთქვა, რომ თან არ ჰქონდა. რუსი ბალერინა დაპირდა უწმინდესს, რომ ალბომს მოსკოვში ჩასვლისთანავე გამოუგზავნიდა.

მთავრობის მიზანია, რომ გახდეს კიდევ უფრო ღია...

ჩვენი მიზანია, განვამტკიცოთ ხელისუფლების მიუკერძოებლობა, საზოგადოებრივი ნდობა, გამჭვირვალობა და ეფექტიანობა მმართველობაში უახლესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში, კონფერენციაზე „ღია მმართველობის პარტნიორობა – საქართველო“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი განმარტებით, მთავრობის მიზანია ისიც, რომ გახდეს კიდევ უფრო ღია მოქალაქეებისათვის და მეტად ანგარიშვალდებული მათ წინაშე.

„ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა ვიყო დღეს აქ, ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე თქვენთან ერთად, იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც ერთიანი ძალებით მიისწრაფვიან საერთო მიზნისკენ – ეს არის მთავრობების ღიაობა საკუთარი მოქალაქეების საკეთილდღეოდ.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მაღალი დონის ლონისძიებაზე, რათა აღვნიშნოთ OGP-ის სამი წლისთავი და კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ ერთგული ვართ ჩვენი საერთო მიზნისა – მხარი დავუჭიროთ უფრო ღია და გამჭვირვალე მმართველობას მთელ მსოფლიოში.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ინდონეზიის მთავრობისა და მისი გუნდის მიმართ, რადგან მათი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ეს შეხვედრა. მინდა ასევე მივესალმო OGP-ს მხარდამჭერი გუნდისა და OGP-ს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას ამ მნიშვნელოვანი პროცესების ხელშეწყობისათვის მთელ მსოფლიოში.

საქართველოს მთავრობისათვის დიდი პატივია შემდგომი ორი წლით იყოს არჩეული საკოორდინაციო კომიტეტის ერთ-ერთ წევრად. ჩვენ ვისწრაფვით, შევინარჩუნოთ მაღალი სტანდარტები აღნიშნული ინიციატივის განსახორციელებლად და უზრუნველვყოთ მისი გრძელვადიანი მდგრადობა. ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ნდობის ვოტუმს საქართველოსა და იმ ძალისხმევის მიმართ, რომელიც ჩვენ გამოვიჩინეთ ქვეყანაში მმართველობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ მადლობელი ვართ ამ ნდობისათვის და მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკოორდინაციო კომიტეტის მუშაობაში, სადაც ჩვენს ქვეყანას წარმოადგენს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითადი პრინციპები – გამჭვირვალობა, ანგარიშგება, მოქალაქეთა მონაწილეობა, ტექნოლოგია და ინოვაცია – ეს არის საკვანძო ღირებულებები ჩვენი მთავრობისათვის. ჩვენი მიზანია, განვამტკიცოთ ხელისუფლების მიუკერძოებლობა, საზოგადოებრივი ნდობა, გამჭვირვალობა და ეფექტიანობა მმართველობაში უახლესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით.

ჩვენი მიზანია, აგრეთვე, გავხდეთ კიდევ უფრო ღია ჩვენი მოქალაქეებისათვის, მეტად ანგარიშვალდებული მათ წინაშე და უფრო მეტი და ფართო უფლებამოსილება მივანიჭოთ მათ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ჩვენს ქვეყანას აქვს ყველაზე ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების, საჯარო ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებასა და სახელმწიფო მომსახურების მიწოდებას.

„ჩვენმა ინიციატივებმა დიდი საერთაშორისო ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასებაც მიიღო, მათ შორის, გაეროს ჯილდოების სახით. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია სათემო ცენტრები. ეს არის სოფლის განვითარების კრეატიული გზა, რომლის მიზანია რეგიონალურ დონეზე მოქალაქეთა გაძლიერება და ერთი ფანჯრის პრინციპით მათთვის სახელმწიფო მომსახურების მიწოდება. სათემო ცენტრებში თავმოყრილია თანამედროვე ტექნოლოგიები, საჯარო და კერძო მომსახურება, განახლებული ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფილია სამოქალაქო ჩართულობისათვის ერთიანი სივრცე. შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ადგილობრივ დონეზევე გავუმკლავდეთ განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გამოწვევას“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო ეკონომიკური ალიანსის (IEA) მიერ ორგანიზებულ გლობალურ საინვესტიციო სიმპოზიუმს დაესწრო , რომელიც ნიუიორკში გაიმართა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიო ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი გააცნო.

მისი განმარტებით, დღეს საქართველოში ინვესტირება ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყნაში. განსხვავება კი მხოლოდ დაბალ ტარიფებსა და გადასახადებში, მარეგულირებელი წესების სიმცირესა და თქვენი ამონაგების დიდ მოცულობაშია.

პრემიერ-მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას განხორციელებული რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოს მთავრობამ წამოიწყო ინიციატივები, რომელთა მიზანიც რისკების შემცირება და ამონაგების გაზრდაა. მანვე მოუწოდა ბიზნესმენებს, გამოიყენონ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და ისინი თბილისში, საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმზე – „საქართველო - რეგიონალური ცენტრი და კარიბჭე აზიასა და ევროპას შორის“ მოიწვია.

◎ სასწრაფოდ გადასაწყვეტი კანონპროექტი

საკუთარი ცოდვების სხვაზე გადამბრალებლები

უმცირესობა საპროცედურო ომისთვის ემზადება, უმრავლესობა - კანონპროექტის მისაღებად

ერთწლიანი პაუზის შემდეგ, შესაძლოა, პარლამენტმა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა დაიწყოს, რომლის წინააღმდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ საპროცედურო ომი გამოაცხადა და მათ სასარგებლოდ, ინიციატივის განხილვა შეჩერდა.

საკანონმდებლო ორგანოს კანონპროექტის განხილვის პროცესის განახლება სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მოსთხოვა, რომლის მიხედვითაც, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემსვლელი უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 400 ლარით დაჯარიმდება. უმრავლესობა ცვლილებების მიღებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს, უმცირესობა კი, ინიციატივის მხარდაჭერას არ აპირებს და პროტესტის ფორმას კვლავ მიმართავს.

როგორც for.ge-ს ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლევან ბეჟუაშვილმა განუცხადა, ერთი წლის წინ, კანონპროექტის მიღება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, გრიგორი კარასინისა და სხვა პირების მხრიდან წამოყენებულ მოთხოვნას უკავშირდებოდა.

მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ხელისუფლება რუსეთის მოთხოვნების გატანას კვლავ ცდილობს.

„არაერთხელ გაჟღერდა, რომ ხელისუფლება ამ კანონის ინიცირებას რუსეთის მოთხოვნის შესაბამისად ახდენდა. ამ კანონის მიღების წინააღმდეგნი ვართ, რადგან იმ პირების მიმართ სამართლებრივი რეჟიმი მცირდება, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობენ და გადაადგილდებიან. ეს ცვლილებები ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ქართული მხარის პოლიტიკას გაუგებარს გახდის, რაც დაუშვებელია. ქვეყანა სამართლებრივ რეჟიმთან თანმიმდევრული უნდა იყოს. ხელისუფლება ამბობს, რომ თითქოს, კანონპროექტის მიღება ევროპულ ვალდებულებებს უკავშირდება, რაც ტყუილია“, – აღნიშნავს დეპუტატი, რომლისგან განსხვავებითაც, მმართველი გუნდი ირწმუნება, რომ პროექტის მიღება ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში, ქართული მხარის ვალდებულებებს უკავშირდება.

პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, პარლამენტმა საკითხი ბოლომდე უნდა მიიყვანოს, რადგან ინიციატივის მიღება ევროპული ვალდებულება გახდა.

მისი თქმით, კანონის დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდეს, რადგან ხშირად, უდანაშაულო ადამიანების მიმართ „სისხლის სამართლის კოდექსით“ გასამართლება ხდება.

„საკითხი მნიშნელოვანია და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს. რაც შეეხება ნაციონალებს, მათი ქცევა სასაცილოა, რადგან ისინი თავიანთი ცოდვების სხვაზე გადაბრალებას ცდილობენ“, – აღნიშნავს მინისტრი, რომლის მსგავსად, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროექტზე მსჯელობა უნდა გაგრძელდეს და მიღებული იქნეს.

for.ge-სთან საუბარში ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი უკვე მომწიმფებულია საიმისოდ, რომ ცვლილება განიხილონ.

დეპუტატის შეფასებით, მედგარ წინააღმდეგობას ოპოზიცია სწევს, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ცვლილების მიღება ევროპულ მოთხოვნას უკავშირდება.

„შეთანხმებული ვართ, რომ ამ საკითხს ხელს მოვკიდებთ. შესაძლებელია, უახლოეს მომავალში, თემას დავუბრუნდეთ კიდეც. ხანგძლივი საპროცედურო ბრძოლის გზით წავალთ და ოპოზიციაზე კიდევ ერთხელ გავიმარჯვებთ. შეიძლება, საკითხზე ერთიორი დღე დაიხარჯოს, მაგრამ საქართველო ამისთვის მოიცლის, რადგან მსგავსი ვალდებულება გაგვაჩნია. არა მგონია, რომ ოპოზიციამ გვითხრას, ამ საკითხის გამო, ევროპასთან ურთიერთობა უნდა შევწყვიტოთო“, – აცხადებს დეპუტატი, რომლის პათოსს იზიარებს ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე.

ის ამბობს, რომ ევროპა ქართულ მხარეს ნებისმიერ შეხვედრასა და ფორუმზე მიუთითებს, რომ სერიოზული ნაბიჯი იქნება, თუ კანონი გადაიხედება.

კანონმდებელის ინფორმაციით, ცვლილებები ვენეციის კომისიასთან უკვე გავლილია და რისკებიც მინიმუმამდეა დაყვანილი.

„ნაციონალების აგრესიული პოლიტიკის წყალობით საშინელი შედეგი მივიღეთ. ეს პროცესი იმის გამო გაიწელა, რომ შესაძლო რისკს ყურად ვიღებთ, რომელიც შეიძლება მომავალში წინ დაგვიდგეს. ყველა ერთად უნდა დავსხდეთ და ამ მნიშვნელოვან თემაზე ვისაუბროთ, რადგან დასავლეთი გვთხოვს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმას“, – აღნიშნავს დოლიძე.

თანაგუნდელების მსგავსად, ცვლილებებს მხარს უჭერს გია ვოლსკი და ამბობს, რომ კანონპროექტში ისეთი არაფერი დევს, რომელიც ქვეყანას ზიანს მიაყენებს.

„ინიციატივაში სწორედ ქვეყნის ინტერესებია წარმოჩენილი. რა საკვირველია, განხილვას დავუბრუნდებით, რადგან საკითხი არ მეგულება, რომლის თაობაზეც ოპოზიციას დესტრუქციული დამოკიდებულება არა აქვს“, – განაცხადა ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ პარლამენტში, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა კამათისა და დაპირისპირების ფონზე ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ნაციონალების მიერ წამოწყებული საპროცედურო ომის გამო, ცვლილებების პირველი მოსმენით მიღება რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტში მიმდინარე პროცესების ფონზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალი მავთულხლართების გაბმა დაიწყო, რის გამოც ხელისუფლებამ ცვლილებების განხილვის პროცესი პირველი მოსმენით შეაჩერა.

კანონპროექტის თანახმად, პირველ შემთხვევაში, პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის სფეროდან გადატანილია ადმინისტრაციული სამართლის სფეროში.

ამასთან, ცვლილებებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში დადგება – თუ ასეთი ქმედება პირმა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგ ჩაიდინა.

კანონში უცვლელი რჩება ის პუნქტი, რომლის თანახმადაც, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის სპეციალურ თანხმობას საქართველოს მთავრობა გასცემს.

ასევე, კანონპროექტის მიხედვით, აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლისთვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ის პირი, რომელიც საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობის გარეშე შევიდა (შევა) აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის შემდეგ მიიღებს საქართველოს მთავრობის სპეციალურ თანხმობას.

აღნიშნული ცვლილებების ალტერნატიულ ვარიანტად, ნაციონალებმა მოითხოვეს, რომ კანონის პირველად დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმა გავრცელდეს არა მხოლოდ ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ შესულ მოქალაქეებზე, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

თეონა მანაგაძე

◎ მიმართვა

სამინისტროს არა აქვს მეცნიერების სწორი ხედვა, რაც საბედისწერო აღმოჩნდება ქართული მეცნიერებისათვის

(პირველი გვერდიდან) გასული წლის მიწურულს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ინიციატივით სახელმწიფო ბიუჯეტში განისაზღვრა დამატებითი სახსრები მეცნიერთა შრომის ანაზღაურების გასაუმჯობესებლად. ამიტომაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დადგა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ სახელმწიფო დავალებისთვის ადეკვატურად ეპასუხა. ა. წ. დასაწყისში, 6 იანვარს, სამინისტრომ ყოფილი აკადემიური (ამ დროისათვის უნივერსიტეტებს დაქვემდებარებული) სამეცნიერო ერთეულებისაგან მოითხოვა, რათა ერთი თვის ვადაში წარედგინათ თავიანთი ინსტიტუტების (ათ წლამდე ვადით) განვითარების პროექტები გაზრდილი პროგრამული დაფინანსების მოსაპოვებლად. სამინისტროს მიერ შემუშავებული პირობების მიხედვით, პროექტების წარდგენიდან ერთი თვის ფარგლებში იგი უზრუნველყოფდა უცხოეთში მყოფი ქართულენოვანი ექსპერტების სათანადო დასკვნების მოპოვებასა და, შემდგომ, დადებითად შეფასებული პროგრამების დაფინანსებას.

მიუხედავად ჩვენი კრიტიკული განწყობისა აღნიშნული ნაუცბათევი კონკურსის ფორმისა და პირობების მიმართ, თავი ვალდებულად მივიჩნიეთ, აქტიურად ჩავრთულიყავით პროცესში ხელისუფლების მიერ გადადგმული ამ პირველი ნაბიჯის წარმატებით გადასაწყვეტად. საკმაო დაყოვნების შემდეგ, 2014 წლის 4 მარტს მინისტრმა დაამტკიცა სამინისტროსთან სამეცნიერო საბჭოს შექმნის ბრძანება (№218). ძირითად ფუნქციად განსაზღვრული იყო, რომ „სამეცნიერო საბჭო უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის კონსულტაციის გაწევას სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამომავლო საქმიანობის (სამომავლო გეგმების) შეფასების, დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და დაფინანსების მექანიზმების დახვეწის საკითხებში“.

სამეცნიერო საბჭომ მეტად საპასუხისმგებლო, შრომატევადი სამუშაო გასწია როგორც წარმოდგენილი პროექტებისა და მათი საექსპერტო შეფასებების შესასწავლად და შესაჯერებლად, ისე უკიდურესად მძიმე, დუხჭირ მდგომარეობაში ჩაყენებული ინსტიტუტებისა და მათი ადამიანური და მატერიალური რესურსების უშუალოდ გასაცნობად.

სამეცნიერო საბჭომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში შეძლო შეესრულებინა დებულებით განსაზღვრული ამოცანა და ა.წ. 27 მაისისათვის წარედგინა საერთო, განმაზოგადებელი დასკვნა სამეცნიერო ერთეულების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებას აუცილებლად მიიჩნევდა სამეცნიერო სისტემის რეაბილიტაციის დასაწყებად და იმ გადარჩენილი სამეცნიერო პოტენციალის შესანარჩუნებლად, რომელიც საბჭოს კვლევამ ობიექტური მონაცემებით დაადასტურა. ეს დასკვნა საბჭომ კენჭისყრით დაამტკიცა და თითოეული წევრის ხელმოწერით დაადასტურა.

სამინისტროს პირობის თანახმად, ამ ეტაპის დასრულების შემდეგ სამუშაო უნდა გაგრძელებულიყო გაფართოებულ საბჭოში (უშუალოდ პრემიერ-მინისტრის ზედამხედველობით), რომელიც საბოლოო სახეს მისცემდა მეცნიერების რეფორმირების პროგრამას და განსაზღვრავდა ყველა ნორმას ინსტიტუტების სტატუსსა და დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მოგვიანებით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სამეცნიერო საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა ოფიციალურად გადაეცა პრემიერ-მინისტრთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს, მაგრამ გადაეცა შეკვეცილი და სახეცვლილი ფორმით. განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ის საკმაოდ ნათელი და დიფერენცირებული სურათი მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობისა, რომელიც საბჭოს ძალისხმევით შეიქმნა, შეიცვალა ბუნდოვანი, ამორფული და ნიველირებული სურათით. მიზანი ამგვარი დეფორმირებისა დამაეჭვებელია და პროცესის შემდგომი განვითარებისათვის მეტად საზიანო!

ამასობაში დაიკარგა ის ძვირფასი დრო, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერთა არსებობის გადასაჩენად, იმ მინიმუმის მისატანად პროფესიის ერთგულ ადამიანებთან, რომელიც მათთვის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – პარლამენტმა – განსაზღვრა. **ამის სანაცვლოდ სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ბიუჯეტის მიერ მეცნიერთა არსებობის გადასარჩენად ამ წლისთვის განსაზღვრული თანხები სრულიად სხვა მიზნით მიემართა – ჯერაც იურიდიულად არარსებული(!) ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად!**

გაუგებარია სამინისტროს შემდგომი მოქმედებაც: წლის დასაწყისში მან სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა გეგმა და პირობა სფეროს რეფორმირების დასაწყებად, შექმნა სამეცნიერო საბჭო და ადამიანური და ფინანსური რესურსები მიმართა ექსპერტების მიერ კვლევითი პროექტების ობიექტური შეფასებისათვის. შემდეგ მთელი ეს სამუშაო გვერდზე გადადო და განყენებულად, სამეცნიერო საზოგადოებისაგან (მათ შორის – აღნიშნული საბჭოსაგან) დაფარულად განახორციელა ინიციატივა ე.წ. კვლევებისა და ინოვაციების სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, თითქოს ინოვაციასა და მეცნიერებას შორის კავშირი არ იყოს, თითქოს ინოვაცია მეცნიერებით არ მიიღწეოდეს. ამ მოქმედებით სამინისტრომ არსებითად უარი თქვა ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობაზე (ქართველოლოგიურ კვლევებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია).

აშკარად გამოიკვეთა ყველაზე უარესი ტენდენცია: ძველი პოლიტიკის პირდაპირი გაგრძელება, ანუ მეცნიერების განადგურების გეგმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა.

რაკი უშუალოდ ვიყავით ჩართული ზემოდასახელებულ პროცესში, ჩვენს მორალურ მოვალეობად მიგვაჩნია ღიად ვუთხრათ სიმართლე როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას:

- **სამინისტროს ხელმძღვანელობამ დაარღვია საკუთარი პირობა, რომ ა.წ. პირველი კვარტალის შემდეგ პროგრამული წესით დაფინანსდებოდა პროექტების წარმომდგენი სამეცნიერო ერთეულები.**
- **სამინისტრომ გააყალბა არა მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს ზემომითითებული განმაზოგადებელი დასკვნა და რეკომენდაციები, არამედ ის მონაცემებიც, რომლებიც უშუალოდ ინსტიტუტების საპროექტო განაცხადებისა და მათი საექსპერტო შეფასებების სახით იყო წარმოდგენილი.**
- **სახელმწიფო სახსრების შესაბამისი მიზნით გამოუყენებლობის გამო, უხეშად არის დარღვეული კანონი საქართველოს ბიუჯეტის შესახებ.**
- **სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ინსტიტუტების იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, რათა მეცნიერს კანონიერად მიეღო საკონკურსო თანამდებობა და თუნდაც ის მინიმალური სარგო, რომელიც დღემდე ერიცხება.**
- **ჩვენი საერთო შთაბეჭდილებით, სამინისტროს არა აქვს მეცნიერების სწორი ხედვა, რაც საბედისწერო აღმოჩნდება ქართული მეცნიერებისათვის.**

ამიტომაც ჩვენ პირადად მოგმართავთ თქვენ – უმაღლეს ხელისუფალთ:

მეცნიერების ბედის გადაწყვეტა არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური პრესტიჟის საკითხია, არამედ – ძვეყნის მომავალიც დიდწილად არის დამოკიდებული.

მიგვაჩნია, რომ თქვენი აქტიური ჩარევის გარეშე ეს პრობლემა პოზიტიურად ვერ გადაწყდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული (აწ უკვე ყოფილი) **სამეცნიერო საბჭოს წევრები:**

ზაზა ალექსიძე, ავთანდილ არაბული, ერეკლე გამყრელიძე, გუჩა კვარაცხელია, ვახტანგ კოკილაშვილი, ავთანდილ კორახაშვილი, თინათინ მარგალიტაძე, ნოდარ მითაგვარია, თემურ ნანეიშვილი, თინათინ სადუნიშვილი, შოთა სამსონია, თორნიკე ქადეიშვილი, გიორგი ჩაგელიშვილი, გიორგი ჯაფარიძე

P. S. სრული სიცხადისათვის წერილთან ერთად გაახლებთ სამეცნიერო საბჭოს ძირითადი დასკვნის დედანს (7 გვერდი).

◎ აი, სესხი.. აი, ბანკი...

„ფულები არის ჩვენი გამხარებელი!..“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ზოგიერთი მინისტრისა და მათი მოადგილეების საბანკო სესხების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. თანამდებობის პირების ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას 2014 წლის მარტში 200 000 აშშ დოლარის იპოთეკური, ასევე სხვადასხვა პერიოდში, 70 000 აშშ დოლარისა და 42 500 ლარის ოდენობის სესხები აქვს აღებული.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ბანკ „ქართუში“ 2012 წლის ნოემბერში 120 ათას აშშ დოლარის მოცულობის სესხი აქვს დამტკიცებული. სესხის გადასახდელად მინისტრს ქონებრივ დეკლარაციაში 1 586 აშშ დოლარი (დაახლოებით 2 800 ლარი) აქვს მითითებული, რაც მისი ყოველთვიური ანაზღაურების 56%-ია.

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს ასევე იპოთეკური სესხი, რომლის მოცულობაც 140 000 აშშ დოლარს შეადგენს, „საქართველოს ბანკში“ აქვს რეგისტრირებული. თავად ბანკის კალკულატორის მიხედვით, მინისტრს თვეში დაახლოებით 1 700 აშშ დოლარის (დაახლოებით 2 600 ლარი), ანუ ხელფასის 52%-ის გადახდა უწევს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბარს სესხი 2013 წლის მარტში, „ქართუ ბანკში“ აქვს აღებული. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 140 000 აშშ დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხით მან თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩაზე 187 კვ.მ. ფართობის ბინა შეიძინა, რომლის მესაკუთრედაც სუბარის მეუღლეა მითითებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინფორმაციით, მსგავსი ოდენობის სესხზე თვეში გადასახადი დაახლოებით 1 700 აშშ დოლარი (დაახლოებით 2 600 ლარი), ანუ მინისტრის ყოველთვიური ხელფასის 52% უნდა იყოს.

გარდა მინისტრებისა, ორგანიზაცია მათი მოადგილეების საბანკო სესხების შესახებაც აქვეყნებს ინფორმაციას. მაგალითად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილე დიმიტრი მახათაძეს 315 000 აშშ დოლარის იპოთეკური სესხი აქვს აღებული, რომელიც 2012 წლის ოქტომბრიდან მოქმედებს. მას წლის განმავლობაში, სესხის გასავლად ქონებრივ დეკლარაციაში 21 584 აშშ დოლარი აქვს მითითებული, რაც თვეში დაახლოებით 1,798 (დაახლოებით 3,150 ლარი) აშშ დოლარია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინფორმაციით, ეს მინისტრის მოადგილის ოფიციალური ანაზღაურების 106%-ია.

სესხი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილსაც. 2013 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში მას 190 000 აშშ დოლარის იპოთეკური სესხი აქვს მითითებული, რომელიც 2010 წლიდან მოქმედებს. სესხის წლიური გასავალი, თავად მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 33 189 აშშ დოლარს (თვეში დაახლოებით 4 800 ლარი) შეადგენს. ეს თანხა მისი ოფიციალური ყოველთვიური ანაზღაურების 175%-ია.

ამასთან, ორგანიზაცია სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის საბანკო სესხთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც ასაჯაროებს და განმარტავს, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელზე, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 2013 წლის აგვისტოდან 275 000 ლარის სესხია რეგისტრირებული. „თი-ბი-სი ბანკის“ ვებგვერდზე განთავსებული კალკულატორის თანახმად, მსგავსი ოდენობის სესხზე ყოველთვიური გადასახდელი დაახლოებით 3 500 ლარია, რაც აზმაიფარაშვილის ყოველთვიური ხელფასის 118%-ია.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის მიხეილ ჯანელიძის სახელზე 2013 წლის ნოემბრიდან 260 000 ლარის და 28 600 აშშ დოლარის ოდენობის სესხებია რეგისტრირებული. 260 000 ლარის ოდენობის სესხზე ყოველთვიური გადასახადი დაახლოებით თვეში 2 600 ლარია, რაც მინისტრის მოადგილის ხელფასის 95%-ია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილზე 2014 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, 164 000 აშშ დოლარის ღირებულების სესხია რეგისტრირებული, მის მეუღლეზე კი ჯამში 195 000 აშშ დოლარი. ყველა ეს სესხი გალეგაშვილის თანამდებობაზე დანიშვნამდე, 2010 და 2012 წლებშია აღებული. ამ სესხების გასავალი, დეკლარაციების მიხედვით, ჯამში წელიწადში დაახლოებით 63,000 აშშ დოლარია. ეს თვეში დაახლოებით 9,185 ლარია, რაც მინისტრის მოადგილის ყოველთვიურ ხელფასს სამჯერ აღემატება (337%).

როგორც ცნობილია, მინისტრების ხელზე ასაღები ყოველთვიური შემოსავალი, დანამატის ჩათვლით, 5 000 ლარია. მინისტრის პირველი მოადგილე ხელფასის სახით 2,950 ლარს იღებს, მინისტრის მოადგილე კი – 2,720 ლარს, თუმცა, ამ ანაზღაურებას, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა პრემიები დაემატოს.

რედაქციისგან: ამ მრავლისმეტყველ ინფორმაციას ამჯერად ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვბეჭდავთ. იმედია, ამ დღეებში ყველა „წვრილმანი“ გაირკვევა, თუ რამდენად სამართლიანია მაღალჩინოსნებისთვის ასეთი „მსხვილმანი“ თანხების შეუფერხებლად გამოყოფა... ჩვენ მხოლოდ ერთს შევახსენებთ „ქართული ოცნების“ მინისტრებსა და მათ მოადგილეებს:

ნაციონალი მინისტებიც მსგავსი სესხებით იწყებდნენ...

ამ ხელისუფლებას საცვლების ამარა რომ გამოეყვანა ნაციონალები, ასპროცენტიანი რეიტინგი ექნებოდა

ნომრის სტუმარია უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე

— ბატონო ნიკოლოზ, თქვენ აცხადებთ, რომ შემოდგომაზე ნაციონალები გააქტიურდებიან, მოაწყობენ აქციებს, მიტინგებს... ადრე ყოველთვის რადიკალიზმით გამოირჩეოდით, ახლა, ჩემი აზრით, პირველი შემთხვევაა, როცა ასეთი საპროტესტო მუხტი არ მოგწონთ...

— პრობლემები ქვეყანაში არის, მაგრამ რევოლუციის საჭიროებას ნამდვილად ვერ ვხედავ. ნაციონალები, რომელთაც ხელისუფლების იძულებით დატოვება მოუწიათ, მიდიან კონფრონტაციაზე, რადგან ვითარებას ვერ ეგუებიან. ციხის თემაზე ნაციონალებს საერთოდ ხმა როგორ ამოეღებათ? ეს არის თემა, რითაც ისინი დასრულდნენ... ციხიზმია, როცა გაიძახიან — ციხეში კატასტროფული მდგომარეობააო. ორ წელიწადში საკმარისი რეფორმები გატარდა. პატიმართა რაოდენობა განახევრდა, მსჯავრდებულები ადრე მორიგეობით იძინებნენ, რადგან საწოლები საკმარისი არ იყო, გარეთ რომ გამოდიოდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ, რადგან ციხეში ხმას არ იღებდნენ; ახლა კარგი კვება აქვთ, მათ ჯანდაცვაზე 740 დოლარი იხარჯება, როცა ორი წლის წინათ 160 დოლარი იყო გათვალისწინებული. მეტ-ნაკლებად ცდილობენ დაიცვან პატიმართა უფლებები, მეტი რა უნდა ქნან?

— პრობლემები არ არის? მაშინ რაზე მეტყველებდა კვესიტაძის ამასწინანდელი „განსხვავებული აქცენტები“?

— ეკა კვესიტაძე ჟურნალისტი არ არის! ის არის დაინტერესებული პირი, რომლის მიზანია ხელისუფლების დისკრედიტაცია. მასზე ეთიკის კუთხით სანქციები უნდა გატარდეს. ოდესმე ციხის თემით დაინტერესებულა ნაციონალების დროს? რა, არ იცოდა, იქ რა საშინელებები ხდებოდა?! აიღო ძველი კადრები, დაადო აუდიტო ხმები, ასევე ძველი ჩანაწერები და შექმნა ილუზია, რომ ეს ახლა ხდება („მოდელირებული ქრონიკის“ შემდეგ რაღა უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ მაინც). ეს ადამიანები დღეს სასჯელს იხდიან ამ ჩანაწერების გამო, რომელიც როგორც ნივთმტკიცება გამოიყენა სასამართლომ. აუდიოდისკი კი პროცესის დამთავრების შემდეგ გადაეცა ადვოკატებს. ეტყობა, ეს „ნივთმტკიცება“ ვიღაცამ, ნაციონალების მხარდამჭერმა უფლებადამცველმა, გადასცა კვესიტაძეს...

საერთოდ, როცა არ უნდათ კარგის დანახვა, არც ხედავენ. ჩვენმა ორგანიზაციამ — „უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ საკუთარი რესურსით შარშან გააკეთა ანგარიში ქვეყანაში არსებულ დანაშაულებთან დაკავშირებით. ამ მონაცემებით, აღმოჩნდა, რომ კრიმინალმა ოდნავ იკლო, ხოლო გაშუქების პროცენტი გაიზარდა. მაგალითად 2010 წელს ყაჩაღობის 395 ფაქტი აღინიშნა, ხოლო 2013 წელს — 212. მაშინ გაშუქდა 49, ახლა გაშუქდა 37. ასევე ხდება მკვლელობასთან, გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

— თქვენ დაეყრდენით შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკას?

— არა მხოლოდ. ჩვენ გამოვითხოვეთ ინფორმაცია სხვა უწყებებიდანაც, ასევე თვალი გადავავლეთ მედიამონიტორინგს და ა. შ. სტატისტიკას რატომ უნდა ვენდოთო? აბა რას ვენდოთ? თუ 24 საათი ატრიალე მკვლელობა აქ მოხდა და იქ მოხდაო, რა თქმა უნდა, ცუდ განცდას შექმნი...

— ციხეებში პატიმართა თვითმკვლელობას რას უკავშირებთ?

— იმას, რომ ციხეებში პრობლემები არის. სხვათაშორის, კეთდება პროექტი, რომლის მიხედვითაც აშენდება მკაცრი, ნახევრადმკაცრი და მსუბუქი დანაშაულის ტიპის ციხეები, სადაც მისჯილები კატეგორიების მიხედვით განთავსდებიან. ეს მიდგომა ნაწილობრივ აღმოფხვრის ასეთ ფაქტებს. კრიმინალები მართავენ ციხეებსო, ამბობენ. მართალია, მცდელობა კი აქვთ ვიღაცებს, გავლენა მოიპოვონ პატიმრებს შორის, ეს ჩვეულებრივია, მაგრამ ვერ ახერხებენ. იქ კრიმინალები, დამნაშავეები სხედან. ძნელია ციხეში, ოთხ კედელში გამომწყვდევა... ერთი თვითონ რატომ ვერ ძლებენ?! მერაბიშვილს იქ არაფერი არ აკლია, ტელევიზორი, კომპიუტერი, კვება, ჯანდაცვა, მაგრამ კედელს თავს ურტყამს, აქედან გამიყვანეთო, ვაებასა და გოდებაშია...

— ბატონო ნიკოლოზ, თქვენი პოზიცია ასეთია: ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო, თუმცა, თქვენი კოლეგა უფლებადამცველები, ზოგიერთი არასამთავრობოები უფრო ტრაგიკულად აღიქვამენ რეალობას...

— ეს ხალხი, სამწუხაროდ, ისევ ნაციონალების გავლენის ქვეშაა. რომ გამოდიან ტელეეთერით ეს არასამთავრობოები (მკითხველი მიხვდება, ვისაც ვგულისხმობ) და აკრიტიკებენ ხელისუფლებას, რატომ ხმას არ იღებდნენ მაშინ, როცა აუპატიურებდნენ და აწამებდნენ პატიმრებს?! ინფორმაცია ხომ ყველას ჰქონდა. ახლა კი თურმე ქვეყანა ინგრევა.

მეტიც, გაოგნებული დავრჩი, როცა მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ღარიბაშვილმა დაგვიძახა მესამე სექტორის წარმომადგენლებს და ფარული ჩანაწერების კადრები გვანახა. ახტნენდახტნენ ენ-ჯე-ოები, რატომ გვაჩვენებთ ამასო და პროტესტის ნიშნად დატოვეს შეხვედრა. ეს კადრები ტელევიზიებით კი არ აჩვენეს, არამედ ვიწრო წრეში და რა აყვირებდათ? სააკაშვილს რომ ასეთი ფაილები ხელში ჩაეგდო, მთელი დღე ტელევიზიებით ამ „სექს-კადრებს“ დაატრიალებდა.

გამკვირვებია ჩემი კოლეგებისა, რომლებიც დღეს იმაზე ჩივიან, რომ ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებაზე მორატორიუმს აცხადებს. სამაგიეროდ, ისლამოფობიაა ქვეყანაში და არატოლერანტული ერი ვართო. ლგბტ-ს უფლებებს თავგამოდებით იცავენ, მაგრამ პატრიარქს რომ შეურაცხყოფენ, ხმას არავინ იღებს. ეს არ არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. ამიტომ ვამბობ, რომ ასეთი არასამთავრობოები ნაციონალების რეჟიმის გამტკიცებას უწყობენ ხელს, ახლა კი ხელისუფლებას უპირისპირდებიან!

— ტელევიზიებზე რას იტყვით?

— ძალიან სათუთი თემაა და ზოგადად ძალიან არ მიყვარს ჟურნალისტების კრიტიკა. გასაგებია „რუსთავი-2“-ის პოზიცია, მაგრამ „იმედის“ იდეოლოგიური პოლიტიკისა საერთოდ არაფერი მესმის. ასე თუ ისე, სააკაშვილის დროს ინფორმაცია რაღაც კარგი „ნიუსით“ იწყებოდა. ახლა პირიქით. ბოლოში ამბობენ, თუკი რამე კეთდება. მაგალითად, ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ზამთრის საკურორტო ზონაში სეზონი არ ჩავარდება, რადგანაც ხელოვნური თოვლით ეს პრობლემა მოიხსნება, ანუ წელს ყველაზე მეტი ტურისტი გვეყოლება. სააკაშვილის დრო რომ იყოს, ამას ნახევარსაათიანი სიუჟეტები დაეთმობოდა. კახეთში რთველი არ ჩავარდა, ეს კარგი არ არის?!

— ანუ მიზანმიმართულად იქმნება ცუდი ფონი საინფორმაციო სივრცეში იმისთვის, რომ... რა, რა უნდა მოხდეს?

— ნაციონალებს რა ფულიც ჰქონდათ, ისევ ის ფული აქვთ, ბიზნესი შენარჩუნებულია. ამიტომაც არის, რომ ჯერ კიდევ არ ჩარეცხილან. მათ დასავლეთი აქტიურად უჭერს მხარს, სერიოზული პრესი მოდის უცხოელებისგან ხელისუფლებაზე. ნაციონალები ფულით ქმნიან მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციები მათია, ბიზნესი მოქმედებს...

— სააკაშვილმა ადრე ხომ თქვა ასეთი რამ: მე რომ ოპოზიციაში ვიყო, 3 თვეში ამოვაყირავებდი ხელისუფლებასო...

— ახალ ხელისუფლებას საცვლების ამარა რომ გამოეყვანა ესენი კამერების წინ და დაჭერები დაეწყო, ახლა 100-პროცენტიანი რეიტინგი ექნებოდა. ამას არ აკეთებდა შეგნებულად, რადგან ნაციონალებს არ დამსგავსებოდა.

გადატრიალებები ფულით ხდება. ამიტომ ასე არ შეიძლება ნაციონალების მუქარის გატარება. მმართველი გუნდი ვალდებულია, პრევენციული ღონისძიებები დაგეგმოს. ხელისუფლება პიარში აგებს, ამიტომ აუცილებელია ეფექტიანი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის შექმნა. საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია უნდა მიეწოდოს!

— და მაინც, კონკრეტულად რას გეგმავენ ნაციონალები?

— მათი მიზანია, უკმაყოფილება დათესონ ხალხში. ეს უკვე დაწყებულია. მობილიზება უნდათ გაუკეთონ პატიმრებს, სოციალურად დაუცველებს, დაუსაქმებელ ხალხს, პენსიონერებს. მუშაობენ იმისთვის, რათა შეძლონ მასის გამოყვანა...

— დაახლოებით რამდენის?

— 10-15 ათასი კაცი მაინც უნდა გამოიყვანონ. ჯერ ეს მხარდაჭერა არა აქვთ, მაგრამ, როცა ეს რაოდენობა ეყოლებათ, ამაზე წავლენ. მათი სცენარი რევოლუციაა.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ კაკალ გულში

წესიერიანი ოჩაზები

● **თუ ჭიკაიძე არ მიდის ნაციონალურ მოძრაობასთან, მაშინ ნაციონალური მოძრაობა მივა ჭიკაიძესთან!**

● **სირიელი მეამბოხეები ვინ უნდა გაწვრთნას, — კობა ხაბაზმა**

(სირია რომ ვახსენე, გლახა არაფერი იფიქროთ ხაბაზზე)

ისე, გაწვრთნილი მეამბოხე რაღა მეამბოხეა?

● **ეგზიუპერის 10 000-ტირაჟიანი, ნიჟარაძის გაფორმებული წიგნის, 23 კაპიკად გამოცემას, მხოლოდ „ავადსახსენებელი კომუნისტები“ თუ მოიფიქრებდნენ, თორემ თანამედროვეებს, ძვირადღირებული, ბერეტით გაფორმებული დეფი გვყავს - დიდი პოეტი და რომანისტი.**

● **პირველად საქართველოს ისტორიაში, მომეწონა კოჟორიძის ქცევა (ნე ბეზ პომოშჩი გიგა ბუკია).**

● **სახალხო დამცველისგან ვინ უნდა დაგვიცვას?**

● **მურმან დუმბაძეს თურმე თავის წყევლაში მთავარი არ გაუმხელია: ვინც მე შემეხება, შტორმი დაატყდებაო და.. აპაააა!**

● **მარგველაშვილს განუცხადებია პირდაპირ ეთერში, თუ საჭიროება იქნება, პარლამენტს დავითხოვო... ჰოდა, სანამ ეგ უფლებაც წაურთმევიათ, მიდი ჰა!...**

სტატუსი დღევანდელი დღესავით უაზროა

● **თემურ წიკლაურმა თქვა, მეგის ქარდავას ქორწილში ტანი ჩემი არ იყოო.**

● **ქართული ფეხბურთი მაინც გავიდა ევროპულ დონეზე!**

დააკავეს მსაჯები, რომლებიც თანხის სანაცვლოდ, ფეხბურთელებს ყვითელ და წითელ ბარათებს უჩვენებდნენ.

იტალიაში ვართ, რა!

... მაგრამ „ჩიხურა“ — „ვიტ ჯორჯიას“ ბარათების რაოდენობა ტოტალიზატორში არ არის და ეტყობა, თავისთვის „კაიფობდა“ ის კაცი!

გამოუშვით რა, ცოდოები არიან!

● **გავიყინე ტო, არც ერთი არ წასულიყო იმ სამიტზე, ჯობდა...**

● **ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც საკუთარ ქვეყანას ვანადგურებდით მხოლოდ იმიტომ, რომ „კომუნისტების“ არაფერი გვინდოდა... ის ხალხი ვართ, ვინც გულგრილად ვუყურებდით არაქართველი მეზობლების შევიწროვებას და შემდეგ იძულებით ემიგრაციას... ის ხალხი ვართ, ვინც კუბოს თავსახურებს ვიპარავდით, ერთმანეთს ვხოცავდით პოლიტიკური შეხედულების გამო, დავცინოდით მიტინგზე დახვრეტილ უიარაღო ხალხს, რესტორნებში ვისხედით, როცა სხვები ომში იღუპებოდნენ, 99%-ით მოგვყავდა ხელისუფლება და მხოლოდ მაშინ ვუპირისპირდებოდით, როცა მათი სადამსჯელო მანქანა პირადად ჩვენ გვეხებოდა... ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც არა აქვს საშუალო - ტაშის კვრასა და გინებას შორის... ჰოდა, ისევ ვივლით ამ წრეზე, ვიდრე ამას ბოლომდე არ გავიაზრებთ და გავითავისებთ. ხმამაღლა არ ვაღიარებთ, ფილმებს არ გადავიღებთ, სპექტაკლებს არ დავდგამთ, რომანებს არ დავწერთ... ნუ გვეშინია, არაერთმა ერმა გაიარა იგივე. კი, ბევრი იტყვის, მე რა შუაში ვარ, ეგენი არ მიკეთებიაო, მაგრამ აქ პიროვნულ საქციელზე არაა საუბარი — აშკარად ვერაა მოტორზე ერი, გარეცხვა და ზეთის გამოცვლა ჭირდება.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

ბენზინი 3-5 თეთრით გაიაფდა

„სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურებზე პრემიუმი 2.21, რეგულარი 2.07, დიზელი 2.07, ევრო რეგულარი 2.11, ხოლო ევრო დიზელი 2.24 ღირს. „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებზე სუპერი 2.29, პრემიუმი 2.24, დიზელი 2.24, რეგულარი 2.12, ხოლო ევრო რეგულარი 2.07 ღირს. რაც შეეხება „გალფს“, აქ ბენზინი 5-6 თეთრით გაიაფდა. „გალფში“ პრემიუმი 2.25, ევრო რეგულარი 2.17, რეგულარი 2.07, ევრო დიზელი 2.19 ღირს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბენზინგასამართ სადგურებზე მომუშავეებმა განუცხადეს, დღეიდან რეგულარის საწვავზე ფასი 5 თეთრით, ხოლო პრემიუმზე — 3 თეთრით გაიაფდა.

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ:

„ᲰᲣᲛᲐᲜᲣᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘ ᲧᲘᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ!..“

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ მმართველ გუნდს ე.წ. კანონიერ ქურდებთან გარიგებაში ადანაშაულებს და ხელისუფლებას საპატიმროებში არსებული ვითარების კონტროლისკენ მოუწოდებს. უმრავლესობა ამბობს, რომ უმცირესობის წევრები არც ექსპერტებად, არც დამრიგებლებად და არც მორალისტებად არ გამოდგებიან, რის გამოც, ხელისუფლებას ჯობს თავი დაანებონ. კოალიცია მიიჩნევს, რომ ნაციონალების ბინძური ტაქტიკაა, მმართველი პარტიის რეიტინგი დაეცეს და მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ.

საპატიმროებში არსებულ ვითარებასა და ნაციონალების ბრალდებებზე, for.ge პარლამენტის ვიცე-სპიკერს ᲖᲕᲘᲐᲓ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲡ ესაუბრა:

— „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს, რომ საპატიმროებში მიმდინარე პროცესების გამოძიება მოხდეს. რა ხდება, ციხეებში?

— რას ნიშნავს, ციხეში მიმდინარე პროცესების გამოძიება მოხდეს? მათ კონკრეტული რომელიმე საქმის გამოძიება აინტერესებთ? დაასახელონ, კონკრეტულად რომელ საქმეს გულისხმობენ. „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედების ტაქტიკას ძალიან კარგად ვიცნობ. მათი მიზანია, ქვეყანაში ისტერიული ფონი შექმნან, თითქოს, ციხეებში ყველაფერი იქცევა, ქურდები ბრუნდებიან, ქვეყნის მმართველობის საკითხები კრიმინალების გადასაწყვეტია და უბნებში „გარჩევების“ ტრადიცია აღდგენილია.

ამ ქვეყანაში ჩვენც ვცხოვრობთ და კარგად ვიცით, რომ არც კრიმინალის დონეა მომატებული, არც ავტომობილების ძარცვა ხდება, არც ყაჩაღობა და არც ადამიანების გატაცება. ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესები თვალში საცემი არ არის. მსოფლიოში საქართველო ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად არის აღიარებული და ბოლო კვლევების მიხედვით, მსოფლიო რეიტინგებში მოწინავე ადგილებზეც კი გადავიდა. მათ ამ ისტერიკას ხალხი არ უნდა აჰყვეს. ყველა სფეროში პოზიტიური პროცესი მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ წინ არის ძალიან ბევრი პრობლემა, რომელიც გადასაჭრელი და მისახედია, მაგრამ ნაციონალების მხრიდან ციხეებზე საუბარი უხერხულია. „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ ციხეებში გაუსაძლისი მდგომარეობაა, მაგრამ მათთან ბოდიში მომითხოვია, მათ დროს როგორი გაუსაძლისი მდგომარეობა იყო, ცოცხების სკანდალით დაწყებული და პატიმრების სისხლიან დერეფნებში გატარებით დამთავრებული, ეს გაიხსენონ. პატიმრები კარანტინში ცემა-ტყეპით შეჰყავდათ და ეს ძალიან კარგად გვახსოვს. ნაციონალები არც ექსპერტებად, არც მორალური კუთხით და არც დამრიგებლებად არ გამოდგებიან და თავი დაგვანებონ! თუ რომელიმე საქმე გამოსაძიებელია, ეს დღის წესრიგში დააყენონ და გამოიძიებენ. ის კომენტარები კი, რასაც აკეთებენ, მინიმუმ ომბუდსმენთან მაინც გადაამოწმონ.

— ნაციონალები აცხადებენ, რომ მთავრობა წავიდა გარიგებაზე კრიმინალურ სამყაროსთან და ციხეებში კონტროლი მთლიანად ქურდებს გადაებარა. თქვენს ხელისუფლებას ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში, მუდმივად რატომ ადანაშაულებენ?

— უსინდისობას და ამორალურობას საზღვარი არ აქვს. რას ნიშნავს, მთავრობა წავიდა კრიმინალებთან გარიგებაში? ეს სრული აბსურდი და მონაჩმახია, ჩასაფრებული და არამზადა ნაცების ტაქტიკაა, რომ მღელვარება გამოიწვიონ, თითქოს, ქვეყანა უკან მიდის. მათ იმედებს გავუცრუებ და ვეტყვი, რომ ქვეყანა ყველა მიმართულებით წინ მიდის. ყველა რეიტინგი ამას ადასტურებს. გნებავთ, მედია ინსტიტუტების თავისუფლების ინდექსი ნახეთ, ეკონომიკური პარამეტრები თუ საპატიმროებში არსებული ვითარება. ჩვენი თუ არ სჯერათ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშს მაინც გაეცნონ და კარგად წაიკითხონ.

— თუმცა, უმცირესობამ პარლამენტის ტრიბუნიდან ე.წ. კანონიერი ქურდის „რემენას“ საზღვრიდან გაპარვის დახმარებაში დაგადანაშაულათ და წინა კვირას, გივი თარგამაძემ ასევე ტრიბუნიდან გამცნოთ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდი ფრიდონ ბარკალაია სენაკში იმყოფებოდა და მისი დაკავება მოგთხოვათ...

— ნაციონალებმა „რემენა“ მითოლოგიურ ფიგურად აქციეს და არც ვიცი, რაზეა ლაპარაკი. „რემენამ“ სადმე, რა დანაშაული ჩაიდინა? საზღვარი გადაკვეთა და სადღაც წავიდა, ბოდიში მომითხოვია და მათ ამ ნაბჟუტურებზე რა უნდა ვუპასუხო?.. ან თარგამაძის განცხადებაზე რა გითხრათ? მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კრიმინალი ნაღდად შემცირებულია.

— ოპონენტები საპირისპიროს ამტკიცებენ და ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო სტატისტიკას აყალბებს...

— თვითონ რომელი სტატისტიკით ხელმძღვანელობენ? ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობას რა მეთოდით აღნიშნავენ? მათ სურთ გაზვიადებული სტატისტიკა წარმოადგინონ, ასეთი მეთოდით მმართველი პარტიის რეიტინგი დაბლა დაეცეს და მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ. ეს მათი ტაქტიკაა.

— ანუ დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობენ?

— მათი სურვილია, ხალხში დაძაბული ვითარება იყოს, ფსიქოლოგიურად არამდგრადი ფონი შექმნან და ამიტომ, ისტერიულ განცხადებებს აკეთებენ. მათ პირს ვერ ამოვუკერავთ, მაგრამ, თუ კანონის მიღმა დაიწყებენ რაიმეს, კანონი იქნება დაცული. ჭორებს ავრცელებენ და მათ რა ვუპასუხო?

— ნაციონალების განცხადებების პათოსი და მიზანი გასაგებია, მაგრამ საპატიმროებში არსებულ არასასურველ ვითარებაზე არასამთავრობო ორგანიზაციებიც საუბრობენ. ამასთანავე, ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ ე.წ. შავი სია არსებობს, სადაც 72 ადამიანი უბნების მიხედვით შედის და ეს ადამიანები, ნარკოტიკების ჩადებით უნდა დააკავონ, რათა საზოგადოებაში შიში გაჩნდეს. ამ სიის შესახებ გსმენიათ?

— სასჯელაღსრულების მინისტრი კარგი ორგანიზატორი და ძალიან ენერგიული ადამიანია. მას ძალიან კარგად ვიცნობ და მასთან მუდმივი კომუნიკაცია მაქვს. ვიცი, რომ ყველაფერი არის მშვიდად და საპატიმრო ადგილებში ცხოვრება ყოველგვარი ქურდული სამყაროს გააქტიურების გარეშე მიმდინარეობს. წლიურად, ერთ პატიმარზე 750 დოლარი იხარჯება, მაშინ, როდესაც ნაციონალების დროს 140 დოლარი იხარჯებოდა. ამას გარდა, სიკვდილიანობა მკვეთრად შემცირებულია. პატიმარი ადამიანად რომ გრძნობდეს თავს, ამ მიმართულებით ბევრი გაკეთდა — ჯერ კიდევ სოზარის დროს და ახლაც.

რაც შეეხება 72-კაციან სიას, იქნებ 772-კაციანი სია არსებობს და ასეთ ჭორებზე ვისაუბროთ? ჯობს, ყველა ინფორმაცია გადამოწმდეს. მსგავსი განცხადებები ინფორმაციას არასერიოზულს ხდის. ჭორაობა უნდა დამთავრდეს და მინდა, რომ კვალიფიციურები ვიყოთ ყველანი.

— ე.წ. სიის თაობაზე ინფორმაციას ჭორაობას უწოდებთ, მაგრამ პატიმარი ერისთავი აცხადებს, რომ მას ნარკოტიკები ჩაუდეს. ის აღნიშნავს, რომ ნარკოტიკების ჩადების საშიშროების შესახებ ინფორმაციას წინასწარ ფლობდა, რომელიც ვაკის მაჟორიტარ დეპუტატს შალვა შავგულიძეს წინასწარ ამცნო...

— ნაციონალები გაჰკივიან, რომ ქვეყანაში კრიმინალმა მოიმატა და საჭიროა ამ კრიმინალების დაპატიმრებაო. მეორეს მხრივ, ყვირიან, რომ ციხეებში პატიმრებს არადამიანურად ექცევიანო. მათი განცხადებები ერთმანეთის გამომრიცხავია, მაგრამ მათი მიზანი ხომ ვიცით რაც არის?! - ნეგატიური სურათის შექმნა და ურთიერთგამომრიცხავ მესიჯებსაც არ ერიდებიან. მიმდინარე წლის აგვისტოში 11 მკვლელობა მოხდა და ყველა გახსნილია. „რუსთავი 2“-მა ეს საქმეები პირველსავე ბლოკში გაიშუქა, მაშინ, როდესაც 2011 წლის აგვისტოშიც 11 მკვლელობა მოხდა, მაგრამ მაშინ დრო მხოლოდ „კურიერის“ მე-40 წუთზე დაუთმეს. ეს ტელევიზია „ნაციონალურ მოძრაობას“ ფსიქოზის შექმნაში ეხმარება. კარგად მახსოვს, ისინი შევარდნაძის დროსაც ასე მუშაობდნენ, როცა საპროტესტო ტალღას აგორებდნენ. ახლა შევარდნაძის დრო არ არის და სხვა ტელევიზიები, ინტერნეტგამოცემები არსებობენ, რომლებიც ხედავენ, უწყებები თუ როგორი გახსნილები არიან. „რუსთავი 2“-ის მუშაობა ახლა ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ეს 2001-2003 წლებში იყო.

— წინა ხელისუფლებას ძირი ციხეებმა გამოუთხარა. თქვენს მმართველობაშიც ვხედავთ, რომ ციხეებში ვითარება მთლად დალაგებული არ არის. ხომ არ მოხდება ისე, რომ თქვენს ხელისუფლებასაც სერიოზული პრობლემები ციხეებმა შეუქმნან?

— სიტუაცია მაქსიმალურად კონტროლდება. ჰუმანურობა არ ნიშნავს, რომ ციხეებში პატიმრები ყირაზე უნდა გადადიოდნენ. ციხეს თავისი წესები აქვს. მე თვითონ პატიმარი ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, პატიმრები როგორ უდგებიან საქმეს და რა ფსიქოლოგიის მატარებლები არიან. ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება, მაგრამ ვიცი, რომ პატიმრების მიმართ კანონის ფარგლებში ხდება მიდგომა და მეტი იქ არაფერი არ ხდება. ეს არის ინფორმაცია, რომელიც შესაბამის სტრუქტურებთან მუდმივი კონტაქტის შედეგად მაქვს.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲔᲝᲜᲐ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ

> **ეს ტელევიზია „ნაციონალურ მოძრაობას“ ფსიქოზის შექმნაში ეხმარება. კარგად მახსოვს, ისინი შევარდნაძის დროსაც ასე მუშაობდნენ, როცა საპროტესტო ტალღას აგორებდნენ. ახლა შევარდნაძის დრო არ არის და სხვა ტელევიზიები, ინტერნეტგამოცემები არსებობენ, რომლებიც ხედავენ, უწყებები თუ როგორ გახსნილები არიან. „რუსთავი 2“-ის მუშაობა ახლა ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ეს 2001-2003 წლებში იყო.**

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲪᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲐ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, უფასო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას განახორციელებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, ძაღლებისა და კატების უფასო პროფილაქტიკური ვაქცინაცია 28 სექტემბერს, ქალაქ თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში ჩატარდება.

მათივე ინფორმაციით, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდება შემდეგ მისამართებზე:

1. ბათუმი — გოგებაშვილის 46ა (ილია სირაბიძე — 591 11 34 04)
2. ოზურგეთი — გაბრიელ ეპისკოპოსის №3 (კახა თავბერიძე — 591 91 48 38)
3. ზუგდიდი — ჯანაშიას №1 (მარიკა გულუა — 595 22 11 08)
4. ქუთაისი — ნიკეას მე-3 ჩიხი №5 (ფიქრია ჭლიკაძე — 591 11 34 73)
5. ახალციხე — ახალქალაქის გზატკეცილი, ტბის მიმდებარე ტერიტორია (ლია ბექაური - 595 22 11 65)
6. გორი — ბარნოვის 9ა (გოგა ტურაშვილი — 599 85 06 65)
7. მცხეთა — დავით აღმაშენებლის №51 (ზაზა ტოგონიძე — 595 22 11 61)
8. რუსთავი — მარის არხის I დასახლება №150 (მირანგულა ლიპარტელიანი — 595 19 48 00)
9. თელავი — ალაზნის გამზირი (ზურა ვეფხიშვილი — 595 22 11 13)
10. თბილისი — (ცეზარ მაჩიტიძე — 595 22 66 55, ზაზა ფილია — 577 08 07 63)

ა. სურსათის ეროვნული სააგენტო, მარშალ გელოვანის 6ა (გიორგი ბუცხრიკიძე — 577 08 07 18)

ბ. ვაკის პარკის დირექციის მიმდებარე ტერიტორია (ირაკლი აბელაშვილი 591 99 65 27)

გ.ორხევი, ყოფილი საბაჟო დეპარტამენტის ტერიტორია, მუხაძის №9 (ნოდარ მაღრაძე- 599 91 28 65)

დ. კონიაკის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, სარაჯიშვილის №3 (ვალერი თაბაგარი - 599 16 89 33).

ცხელი ხაზის ნომერია — 291 91 67 (127)

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების და სახელმწიფოს კუთვნილი , განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით, ოთხი მოქალაქე - მარია სტეფანოვა, ანა გარსევანიშვილი, ლევან სოხაშვილი და დემურ დუნდუა დააკავა.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2008 წლის მარტში, ბრალდებულები, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლნენ ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებს, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება 2 500 000 ლარს შეადგენს.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე და 180-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს პატიმრობას 6-დან 9 წლამდე ვადით.

ჟიული შარტავა – აღმასვლა გოლგოთაზე

1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზი სეპარატისტებისა და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების რაზმებმა სოხუმში აიღეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობა, დაატყვევეს და დახვრიტეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლები.

მუზეუმის ექსპონატი

ამ ცოტა ხნის წინათ ჩემს არქივს ვათვალიერებდი და აღმოვაჩინე ალკკ ცენტრალური კომიტეტის „წიგნაკი“, რომელიც ადასტურებდა, რომ მისი მფლობელი არის გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი. იმ სტრიქონების ქვეშ, რომლებიც ჩემ თანამდებობას აღნიშნავდნენ, იყო დასმული ბეჭედი და ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჟიული შარტავას ხელმოწერა. დოკუმენტი დათარიღებულია 1980 წლით.

იმ წელს ჟიულიმ ახალი თანამდებობა მიიღო – ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მთელი ექვსი წლის მუშაობის შემდეგ ის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს...

იმ დღეს მის მისაღებში არ ყოფილა ჩვეულებრივი ხალხმრავლობა, იდგა უჩვეულო სიწყნარე, და უცბად გამახსენდა, რომ ჩემი მოწმობის მოქმედების ვადა დიდი ხანია, გავიდა. ჟიულის მდივანმა ლენა გამცემლიძემ სწრაფად შეავსო და მოწმობაში ჩამიკრა ახალი ბლანკი, და მე შევედი შეფის დიდ, ნათელ კაბინეტში.

– ჩემი მოწმობის ვადა ერთი თვის წინათ გავიდა და მე ახლა აღარსად შემიშვებენ, – გავიხმურე და მას მაგიდაზე ჩემი მოწმობა დავუდე, – აი, მოაწერეთ ხელი, თუ შეიძლება.

ჟიულის გაეცინა:

– ვფიქრობდი, რომ აქ ყველა ჩემი საქმე მოვათავე, შენ კი კიდევ ერთი გამომინახე. რას იზამ, ჩავთვალოთ, რომ ეს ჩემი ბოლო დოკუმენტია, რომელსაც ამ შენობაში მოვაწერე ხელი.

პიროვნების მოწმობის მოქმედების ვადა, რომელსაც ჟიული შარტავამ მოაწერა ხელი, გადიოდა 1981 წელს, მაგრამ მე ის არ შემიცვლია მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც რესპუბლიკის ახალგაზრდულ გაზეთში ვმუშაობდი რედაქტორად და ვიყავი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

აი რომელი ეპიზოდი გამახსენა ამ წითელმა „წიგნაკმა“ საოჯახო არქივიდან.

ჩამქრალი ლამპიონის ისტორია

როდესაც მესმის საუბარი ჟიული შარტავაზე ან ვფიქრობ მასზე, თითქმის ყოველთვის მახსენდება ისტორია, რომელიც ერთხელ ჟიულის ერთგული თანამებრძოლისგან მზია ჭანტურიასაგან მოვისმინე. მზია იყო პირველი და, მგონი, ერთადერთი მერი კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძისა, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, შარტავას, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის რჩეული იყო. ისტორია კი ასეთია: საღამო იყო. მზიამ უკვე დაამთავრა თავისი გადაუდებელი საქმეები, მაგრამ კაბინეტიდან არ მიდიოდა. იმ საღამოს მოსკოვში მივლინებიდან ბრუნდებოდა ჟიული, და დაჰპირდა, რომ ჩამოსვლის უმალვე დაურეკავდა. მას რომ არ დალოდებოდი, არ შეიძლებოდა. როგორც იქნა, დაირეკა ზარი. შეფი თბილისის აეროპორტიდან ესაუბრებოდა. მაგრამ საკითხს, რომლითაც დაიწყო საუბარი შარტავამ, სულაც არ ელოდებოდა.

– მზია, გზის მონაკვეთზე კომკავშირულ ქალაქსა და ავტოსტრადა თბილისი-რუსთავს შორის ერთ-ერთ ელექტრობოძზე ლამპიონი ჩამქრალია, იცი ეს შენ?

– შეუძლებელია, ბატონო ჟიული!

– წარმოიდგინე, შესაძლებელია. როდესაც თვითმფრინავი დასაჯდომად წამოვიდა, ილუმინატორში ვიყურებოდი და ყველაფერი შესანიშნავად დავინახე.

– ახლავე შევამოწმებ და ყველაფერს შეგატყობინებთ, – თქვა მზიამ, მოიკეტა კარი და წავიდა მომლოდინე მანქანისკენ. „განგაში, ალბათ, ცრუა, მაგრამ უნდა ვნახო, – გაიფიქრა მან. – როგორ შეიძლება დაინახო დასაჯდომად მიმავალი ავიალაინერის ილუმინატორიდან გადამწვარი ლამპიონი?! ეს ხომ იგივეა, ნახო „ნემსი თივაში“...

როცა მომიყვა, მზია გაჩუმდა და შემომხედა. „რა მოხდა მერე“ – შევეკითხე და ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს მისი მონათხრობი არ გამკვირვებოდა. „როგორ თუ რა მოხდა? ადამიანი თვითმფრინავის ილუმინატორიდან, გესმის, მფრინავი ლაინერიდან ამჩნევს ასეთ უწესრიგობას, წარმოგიდგენია?!“

გულახდილად ვაღიარებ: როდესაც ეს ისტორია მზიასგან მოვისმინე, ჯერ ვერ დავიჯერე, ანეკდოტი ხომ არ არის-მეთქი... ჟიული შარტავას სახელთან დაკავშირებულ ისტორიებს კომკავშირულ წრეებში მაშინ ხშირად ყვებოდნენ. მე ეს არ მიკვირდა. ისეთ არაორდინარულ ადამიანებთან დაკავშირებით, როგორიც ჟიული შარტავა იყო, ყოველთვის იქმნებოდა მითების სივრცე. სხვათა შორის, იმ ისტორიებს, რომლებშიც მთავარი მოქმედი გმირი შარტავა იყო, როგორც შემდგომ ირკვეოდა, ყოველთვის ჰქონდა რეალური ნიადაგი.

ბროლი შეფისთვის

– 7 მარტი ჟიულის დაბადების დღე იყო, – იხსენებს წყალტუბოს საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი მირზა ქორქაშვილი. – ამ თარიღამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მზია ჭანტურიამ დამირეკა და მთხოვა წყალტუბოს ბროლის ქარხანაში ყვავილების ლარნაკი დაგვემზადებინა.

ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომლები აპირებდნენ ეს ლარნაკი ყვავილებთან ერთად დაბადების დღეზე თავიანთი შეფისთვის გადაეცათ. თხოვნა შევასრულე, ყვავილები ჟიულის გაეხარდა, ლარნაკთან დაკავშირებით კი დაინტერესდა – საიდანაა იგი, რა ფასად იყიდეს. როდესაც გაიგო, რომ ლარნაკი ჩვენს ქარხანაში დაამზადეს, დამირეკა. მისმა ინტონაციამ, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა. როგორღაც გამოვძვერი. ვუთხარი, რომ საჩუქარი – ჩვენი კომკავშირლების ინიციატივაა, რომლებმაც გაიგეს დაბადების დღე და გადაწყვიტეს მისთვის სიურპრიზი მოემზადებინათ. ჟიულიმ გაიცინა: „ყოჩაღ, ჭკვიანურად მპასუხობ. ლარნაკი ძალიან კარგია. გმადლობთ. ოღონდ, როდესაც თბილისში იქნები, წაიღე იგი, გაუკეთე შესაბამისი წარწერა – თუ ვინ და სად დაამზადეს, და ჩვენ ამ ლარნაკს საყოველთაო დათვალიერებისთვის ჩვენს მუზეუმში დავდგამთ – იგი, მართლაც, ძალიან კარგია“. აღარაფერი დამრჩენოდა იმის გარდა, რომ მისი რჩევა შემესრულებინა. ასე გახდა ჩვენი ლარნაკი საგამოფენო დარბაზის ექსპონატი ბორის ძნელაძის ქალაქში.

ავანტიურული ჩემპიონი

– კომკავშირულ ქალაქში სპორტული კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობდა, – გვიყვება ოლიმპიური თამაშების ორი ოქროს მედლის მფლობელი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილი, რომელიც, როგორც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტის განყოფილების გამგე, იმ წლებში კურირებდა ამ სამუშაოს. – მოულოდნელად გაჩნდა შეფერხებები სამშენებლო მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ქვიშისა, რომელიც რუსთავიდან შემოჰქონდათ. მე ეს ძალიან მაღელვებდა. ყოველ თათბირზე ჟიული მაიძულებდა, ჩამებარებინა ანგარიში სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. რა შემეძლო მე? იმ წელს პირველად ეწყობოდა საქართველოში დღესასწაული „თბილისობა“, დედაქალაქში მთელი ძალით მიმდინარეობდა სარესტავრაციო სამუშაოები. მთელ სამშენებლო მასალებს მათ ახმარდნენ. და აი, გამიჩნდა „ბრწყინვალე აზრი“. გადავიცვი მილიციელის ფორმა და ჩავედი რუსთავის ტრასაზე. როგორც კი ჰორიზონტზე გამოჩნდა მანქანა ქვიშით, დავუქნიე ხელი. მანქანა გაჩერდა. შევამოწმე საგზაო დოკუმენტები, ჩავიხედე ზედნადებში, და თუმცა, ყველაფერი იქ წესრიგში იყო, ტვირთს კომკავშირული ქალაქისკენ შევუცვალე მისამართი. ჯერ ერთი მანქანა, შემდეგ მეორე, მესამე... ამ დროს თბილისში ერთი ამბავი ატყდა: სადაა ქვიშა? რუსთავიდან მას თითქოს აგზავნიან, თბილისში კი არ შემოდის. რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვა და ატყდა სკანდალი. ჩემი საკითხი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს უნდა განეხილა. სხდომაზე მოიწვიეს ჟიულიც. განხილვა ცხარედ მიმდინარეობდა. გაისმოდა ხმები იმის შესახებ, რომ ჩვენ ქალაქს პარტიზანული მეთოდებით ვაშენებთ. მე მემუქრება საყვედური პირად საქმეში შეტანით. მაშინ ეს სერიოზულ სასჯელად ითვლებოდა. ამ დროს ჟიულის ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია ჩემ დასაცავად. ბოლოს მე ველარ მოვითმინე: „მეც მომეცით საშუალება ვთქვა რამე, სიკვდილმისჯილებსაც ხომ არ ეუბნებიან უარს საბოლოო სიტყვაზე“. როდესაც ყველა გაჩუმდა და მე გადმომხედეს, ვთქვი: „თქვენ კითხულობთ, სადაა ქვიშა? მიბრძანდით ჩემს სახლში და შეხედეთ. თუ რაიმეს დაინახავთ იქ, ქვიშას რომ გავდეს – ციხეში ჩამსვით. ყველამ შესანიშნავად იცის, სად იყენებენ ამ ქვიშას. მე საერთო საქმისთვის ვცდილობდი“. ჩემ სიტყვებს ბიუროს ზოგიერთი წევრი ღიმილით გამოეხმაურა, ვიღაცას გაეცინა და გულს მომეშვა. სხდომის შემდეგ მივედი ჟიულისთან და შევეკითხე, თუ რატომ არ გამოვიდა ჩემ დასაცავად. ჟიულიმ გაიღიმა და მითხრა: „ისეთ დიდ სპორტსმენს, როგორიც შენა ხარ, სჭირდება განა ვინმეს დაცვა?!“

შვილებს კი... უარი უთხრეს

– ჩვენ პიონერების მორიგი რესპუბლიკური შეკრებისათვის ვემზადებოდით სოხუმში, – მიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი მოსწავლე ახალგაზრდობის საკითხებში მერი წიკლაური. – აფხაზეთის კომკავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი სერგეი ბაღაფში ძალიან ცდილობდა, რომ ბავშვებს სოხუმი დიდხანს დამახსოვრებოდათ. ჩვენ ვთხოვეთ კომკავშირულ ორგანიზაციებს, შეედგინათ შეკრების მონაწილეთა სიები.

ძალიან მინდოდა, რომ ამ სიაში მოხვედრილიყვნენ ჟიულის შვილები ირაკლი და კახა. ყველა მონაცემებით ისინი ამას იმსახურებდნენ: კარგად სწავლობდნენ, ავლენდნენ საზოგადოებრივ აქტიურობას, ყოფაქცევაშიც არანაირ საყვედურს არ იმსახურებდნენ. თუმცა, აქამდე არც ერთ მსგავს ღონისძიებაში არ მიეღოთ მონაწილეობა. მიზეზი გასაგებია – ჟიულის თანამდებობა. ვიფიქრე: ნუთუ შვილები დამნაშავენი არიან, რომ მათი მამა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი

მდივანია? მაშ, წავიყვანოთ ბიჭები სოხუმში თუ არა? რასაკვირველია, უნდა წავიყვანოთ. მაგრამ რას იტყვის ჟიული? გადავწყვიტე, მოვლაპარაკებოდი მას. სამწუხაროდ, ჟიულიმ ჩემი იდეა არ მოიწონა: „არა, მერი, არ არის საჭირო. არ მინდა, რომ კახა და ირაკლი წავიდნენ შეკრებაზე სხვების მაგივრად, რომლებიც, შეიძლება, უფრო მეტად იმსახურებენ წაყვანას“... ასე დამთავრდა ეს ისტორია...

დღესასწაული რუხში და სხვა „ფორმალობანი“

1977 წელი. აფხაზეთში გორდებოდა გამოსვლების ტალღა მოთხოვნებით — ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ, რომელიც აღწევდა თავის პიკს. მახსოვს, რა მღელვარებით ადევნებდნენ თბილისში თვალყურს სოხუმში, გუდაუთის რაიონის სოფლებში, გაგრის სტადიონზე მიმდინარე მოვლენებს... ტელევიზორი ჩემ კაბინეტში ლამის ხურდებოდა იქიდან გადმოღვრილი ემოციებისა და ვნებათა მღელვარებისგან. და აი, საბედნიეროდ, სიტუაცია რამდენადმე განიმუხტა... სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე დროით, რომ 1980 წლის ბოლოსთვის კვლავ აფეთქებულიყო ურიცხვი უბედურებით.

ჟიული შარტავა იმ აფხაზური მოვლენების შემდეგ თბილისში დაბრუნდა სიტყვებით: „რაღაც უნდა გავაკეთოთ!“ ამჟამად მე არა ვარ მზად პასუხისთვის შეკითხვაზე: „და საერთოდ, შეიძლებოდა კი რაიმეს გაკეთება, რომ თავიდან აგვეცილებინა რამდენიმე წლის წინათ გაჩაღებული სისხლიანი კონფლიქტი?“ ვიტყვი მხოლოდ ერთ რამეს: მცდელობები, თავიდან აგვეცილებინა საბედისწერო დაპირისპირება, იყო. და ჟიული შარტავა, თითქოს ხედავდა თავის ტრაგიკულ აღსასრულს, ყველაფერს აკეთებდა, რომ აგვერიდებინა მოსალოდნელი ქარიშხალი.

რით დავიწყო საუბარი? დავიწყებ, ალბათ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში დაწყებული ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების მეგობრობის დღესასწაულის დაარსებიდან. სწორედ აქ, რამდენიმე ასწლეულის წინათ ქართველებმა და აფხაზებმა ერთად დაღვრილი სისხლით, როგორც მაშინდელი გაზეთები წერდნენ, დაუკავშირეს ერთმანეთს საბრძოლო ძმობა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

და სწორედ ამ ადგილას, ჟიული შარტავას ჩანაფიქრით, გადაწყდა ყოველწლიურად მოგვეწყო ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების მეგობრული შეხვედრები.

მახსოვს, როგორ ვემზადებოდით რედაქციაში ამ დღესასწაულისათვის: ვთარგმნიდით რუსულ ენაზე რომელიმე ავტორის ისტორიულ მოთხრობას, რომელიც გვახსენებდა ბრძოლას რუხის მახლობლად, ვარჩევდით მისთვის ილუსტრაციას... ლამის ყოველდღე გვირეკავდა ჟიული, აინტერესებდა: როგორაა საქმე? რაღაცას გვიკარნახებდა, გვირჩევდა...

1986 წელს, ედუარდ შევარდნაძის მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადასვლის შემდეგ რესპუბლიკაში დაწყებული „ფორმალიზმის ნაშთებთან ბრძოლის“ მიმდინარეობის დროს, დღესასწაული რუხში მოულოდნელად გააუქმეს. ამავე მიზეზის გამო დაივიწყეს ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების ტრადიციული შეხვედრები ბორჯომში. რას იზამ, ჩვენთან ეს ჩვეულებრივი ამბავია — უარი ვთქვათ იმაზე, რაც გვაქვს, არაფერი შევთავაზოთ სამაგიეროდ! მითხარით ერთი, ვისთვის შეიძლებოდა შეეშალა ხელი ახალგაზრდობის ან ისტორიკოსების ყოველწლიურ შეხვედრებს? ხომ სრულიად ცხადია, რომ, როდესაც ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს, როდესაც ისინი ერთმანეთს უმზერენ და როდესაც მათ აქვთ შესაძლებლობა, უთხრან ერთმანეთს ფიალით ხელში სადღეგრძელო, ძნელად რომ უახლოეს პერიოდში გაუჩნდეთ სურვილი ჩაერთონ ერთმანეთთან ჩხუბში.

ვადიმ ანასტასიადი

(დასასრული მორიგ ნომერში)

◎ ოფშორი

ფული, რომელსაც მალვა უყვარს

„ნაპირიდან მოშორებით, ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე“, — ასეა განმარტებული „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ბოლო დროს ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში შემოჭრილი ინგლისური სიტყვა „ოფშორი“. თანამედროვე ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში ამ სიტყვით იმ სახელმწიფოებს ან მათ გარკვეულ ტერიტორიებს აღნიშნავენ, რომლებიც უცხოურ კომპანიებსა თუ კერძო პირების მიერ უცხოური ვალუტით წარმოებული საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებისთვის შეღავათიანი რეჟიმი აქვთ შექმნილი. აღნიშნული შეღავათები კი საკმაოდ მნიშვნელოვანია: ესაა გადასახადების საგრძნობი შემცირება, სავალუტო ზედამხედველობიდან გათავისუფლება, ანონიმურობის უზრუნველყოფა და სხვ.



ოფშორული ტერიტორიების, ანუ ზონების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი პირობა ანონიმურობის შენარჩუნებაა, რაც ბევრი (მათ შორის, მრავალ არაკეთილსინდისიერ!) ბიზნესმენს საკუთარი, კონკრეტული კომპანიის ნამდვილი დამფუძნებლების თუ მეპატრონის ვინაობის დამალვის შესაძლებლობას აძლევს. ამიტომაცაა, რომ, როგორც კი რომელიღაც ფირმის „ოფშორულ“ წარმომავლობაზე იწყება ლაპარაკი, ძალიან ბევრს არც თუ უსაფუძვლო ეჭვები უჩნდება — რაშია საქმე, რატომ ეფარება ეს კომპანია ოფშორულ ნიღაბს, რის დამალვას ცდილობს ესა თუ ის ბიზნესმენი?

შარშან დიდი ბრიტანეთის იურისდიქციაში მყოფი შვეიცარიის შემდეგ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაცუული კაიმანის კუნძულების ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიებისა და მათი დამფუძნებლების კვალიფიკაციის, შემოსავლის, შეღავათებისა და ა. შ. შესახებ მონაცემების გასაჯაროებამ მსოფლიოს საფონდო ბირჟაზე უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია. მაშინ ამ აქტის მიზეზად კორპორაციული მართვის სტანდარტების ამაღლებისა და, ამავდროულად, ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა დასახელდა. კაიმანის კუნძულებზე განვითარებული მოვლენების შედეგად საეჭვო ოპერაციების განხორციელებაში არაერთი მსოფლიოში ცნობილი ბრენდი, მათ შორის, ფეისბუქი, „ოლიმპუსი“, რამდენიმე უდიდესი ბანკი ამხილეს.

ოფშორული ზონების გამჭვირვალობის ხარისხის მკვეთრად გაზრდის აუცილებლობის განცდა, როგორც ჩანს, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანი მწიფდებოდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში არაკეთილსინდისიერად საქმიანობის წარმართვის მსურველებს ფინანსური მაქინაციების საწარმოებლად ამ „შავ ხვრელში“ საგადასახადო ორგანოების „შუქმა“ შეანათოს. ამის თქმის საბაბს ის გარემოება იძლევა, რომ ცოტა ხანში მთელი რიგი ოფშორული ზონა ევროპის რამდენიმე ქვეყანას (კერძოდ, დიდ ბრიტანეთს, იტალიას, საფრანგეთს, ესპანეთსა და გერმანიას) თავის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კომპანიების შესახებ გარკვეული სახის კონფიდენციურ ინფორმაციას ავტომატურად გადასცემს.

ამ ნაბიჯის მართებულობაში ეჭვი არავის არ ეპარება: **სხვადასხვა მონაცემებით მსოფლიოს 72 ოფშორულ ზონაში სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო სამსახურებისგან ასტრონომიული თანხა — 12-დან 22 ტრილიონ დოლარამდეა გადამალული!**

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ოფშორული ზონები მარტო გადასახადების შემცირებას, ბიზნეს-სუბიექტთა ანონიმურობის შენარჩუნებას და ა. შ. არ ემსახურება და მხოლოდ ამისთვის არ არის შექმნილი. საგადასახადო შეღავათები და სხვა რეგულაციების შემსუბუქება ასეთ ზონებს პოტენციურ ინვესტორთათვის მეტად მიმზიდველს ქმნის და, ამდენად, სარგებელი როგორც მისი პატრონი სახელმწიფოსთვის, ასევე მოსახლეობისთვის მოაქვს, რადგან ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ამით ცხოვრების დონის ამაღლებას უწყობს ხელს.

საქართველოსა და მსოფლიოს ოფშორული „ფინანსურ სამოთხეთა“ ურთიერთობა აგერ უკვე ათ წელიწადს გრძელდება, მთავარი კონტრაგენტები კი კვიპროსი, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, პანამა, სეიშელისა და ვირჯინიის კუნძულებია.

ახლა კი ლაპარაკია იმაზეა, რომ ჩვენში დარგობრივი ოფშორული ზონები შეიქმნას, ოღონდ მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებშიც ქვეყანა პროდუქციას არ აწარმოებს: მაგალითად, ჩვენ არ ვუშვებთ ტელევიზორებს, საათებს, გარკვეული ტიპის სპორტულ ინვენტარსა და ა. შ.

აღნიშნული იდეის ავტორი პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარების თავმჯდომარე კახა ოქრიაშვილია, რომლის განცხადებით, ეს ინიციატივა კანონპროექტად ჯერჯერობით ჩამოუყალიბებელია, ამდენად, მის წვრილმანებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ პოტენციურ ინვესტორთა მოზიდვის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი მომავალ კანონში (ცხადია, პარლამენტის მიერ მისი მიღების შემთხვევაში) მიწის საკუთრებაში გადაცემის პირობა იქნება, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონკრეტული მეწარმე სუბიექტი ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს და წარმოებას არა სხვაგან, არამედ ადგილზე დაიწყებს.

ბატონი ოქრიაშვილის აზრით, თავის დროზე ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პროექტმა სწორედ იმის გამო ვერ იმუშავა, ვინაიდან საამისოდ სათანადო პირობები არ იყო შექმნილი.

— ინვესტორისთვის იქ ძალიან ცუდი პირობებია, — ამბობს იგი. — იქ მიწა უნდა იქირაოთ, კომუნიკაციები — ელექტროენერგია, გაზი, წყალი თქვენი ფულით უნდა გაიყვანოთ და მერე თითოეულ კვადრატულ მეტრ მიწის ფართში იჯარა უნდა იხადოთ. განა საკუთარი სახლის, ანდა საწარმოს აშენებას ნაქირავებ მიწაზე ვინმე მოინდომებს?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვალის ერთი გადავლებით ბატონი ოქრიაშვილი მართალია, თუმცა კი, რადგან ეს აზრი ჯერჯერობით მხოლოდ იდეის დონეზეა, ხოლო მის კანონპროექტად გადაქცევის სამუშაო პროცესი სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო, უაღრესად საინტერესო იქნება უკვე დასრულებული საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე ექსპერტთა კომპეტენტური აზრის მოსმენა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიანჩალიანი

რაულ ხაჯიმბა აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა

როგორც აფხაზური მედია წერს, „პრეზიდენტის ინაუგურაცია“ საზეიმო ვითარებაში სოხუმის „მთავრობის სახლში“ გაიმართა.

გუშინ, ე.წ. პარლამენტის სესია გაიმართა, რომელშიც ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარე ვალერი ბრანბამ გახსნა, რის შემდეგაც რაულ ხაჯიმბამ აფხაზურ ენაზე ფიცი დადო.

ფერმერებს აგროდაზღვევის პროგრამა გააცნეს

ძუთაისში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარიანა მორგოშია და „აგროდაზღვევის პროექტის“ ხელმძღვანელი ლევან მაღრაძე იმერეთის გუბერნატორს, რეგიონის გამგებელს, სოფლის რწმუნებულებს და ფერმერებს შეხვდნენ.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრაზე აგროდაზღვევის პროგრამა წარადგინეს და პროექტის შესახებ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს და ფერმერებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

აგროდაზღვევის საპილოტე სახელმწიფო პროგრამა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სადაზღვევო პრემიის 70%-დან 95%-მდე თანხას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო დააფინანსებს.

აგროდაზღვევის პროგრამაში სულ 5 ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიაა (ჯიპიაი ჰოლდინგი, ალდაგი, აი სი ჯგუფი, ირაო და ქართუ) ჩართული.

საშემოდგომო მოსავლის დასაზღვევად, სადაზღვევო კომპანიებმა პროექტში მონაწილე მსურველებისგან განაცხადების მიღება უკვე დაიწყეს.

აგროდაზღვევის საპილოტე პროექტის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება და სასოფლო—სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში ფერმერებს საშუალება ეძლევათ დააზღვიონ მოსავალი სეტყვაზე, ჭარბ ნალექზე, ქარიშხალზე, საშემოდგომო ყინვაზე.

ინტერპრესი

ქვეყანა იმართება ან შიშით, ან საქმით!

რომელს ავირჩევდით ჩვენ?

უკვე რამდენიმე თვეა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები სხვადასხვა პოლიტიკური დებატების თუ საჯარო გამოსვლების დროს გამწარებული ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში კრიმინალმა იმატა, რომ დანაშაულის რიცხვმა გაუგონარ ზღვარს მიაღწია, რომ საქართველოში დაბრუნდა განუკითხაობის პერიოდი. ნაცმოძრაობის ამ ტაქტიკის ფლაგმანად, რომ დაძაბოს საზოგადოება, მუდმივი სტრესის და შიშის ქვეშ ამყოფოს მოსახლეობა, რაღა თქმა უნდა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“ გვევლინება, რომლის საინფორმაციო გადაცემები გადაქცეულია კრიმინალურ „კურიერად“, ხოლო გასართობი შოუები ხელისუფლების დისკრედიტაციისა და დაცინვის არენად.

ჩვენი ხელისუფლება სამწუხაროდ, „ფინთი გოიმივით ვარდება“ და იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობის ინტერესებზე იზრუნოს, ნაცების „დაკრულ დუდუკზე ცეკვავს“ და დატუქსული ოროსანი ბავშვივით დგას თავის მართლების რეჟიმში. ეგ კი არადა, სახელმწიფო დაწესებულებებს დაზურგული მიაქვთ თავიანთი რეკლამები ამ ტელეკომპანიაში და ბიუჯეტის, ანუ ჩვენი მოქალაქეების ხარჯზე ფინანსურად აძლიერებენ ისედაც ქერის ორმოში მჯდომ კვესიტაძეს, გაბუნიას, ნანუკას, ვანოს თუ მაიკოს.

ამ ყველაფერზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, რადგან ეს თემა ძალიან აქტუალური და საჭირბოროტოა, გასარკვევია, თუ ვინ და რატომ ლობირებს დღევანდელ ხელისუფლებაში ამ ანტისახელმწიფოებრივ ტელეკომპანიას, დღეს კი მინდა შევეხო საზოგადოებისთვის მეტად სენსიტიურ თემას: რა ფორმატით აპირებს ხელისუფლება ქვეყნის მართვას — შიშით თუ საქმით.

ერთის მხრივ, ამ საკითხზეც ძალიან ბევრი რამის დაწერა შეიძლება. შეიძლება მოვისმინოთ სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრება, მოვიყვანოთ მაგალითები სხვა ქვეყნების მიერ განვლილი გზიდან, მაგრამ პირდაპირ მინდა, განვაცხადო: მსგავსი „ნაშრომის დაწერა“ იქნება ოდენ წყლის ნაყვა, სიტყვების უაზრო რახარუხი და ვიღაცების მხრიდან საკუთარი განათლების დონის წარმოჩენა.

ნამდვილად არ ვარ გრაფი სეგედი და არც ხელისუფლებაა დათა თუთაშხია, მაგრამ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მინდა ერთი მაგალითი შემოგთავაზოთ. პასუხს კი ყველა ერთად იმ გადაწყვეტილების შემდეგ მივიღებთ, რასაც ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები გამოიტანენ.

ამა წლის 17 სექტემბერს თბილისში თენგიზ ერისთავი დააკავეს, რომელსაც ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა.

ამ დაკავებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რადგანაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნარკოტიკული საშუალებები თენგიზ ერისთავს პოლიციელებმა ჩაუდეს და რბილად რომ ვთქვა, დაკავების საპროცესო ნორმები უხეშად დაარღვიეს.

„მანქანიდან ცემით გადმომიყვანეს, ძირს დამაგდეს, სახეზე ფეხი დამადგეს. წამალი არ მქონდა. ბრიყვი არ ჩაიდებს პოლიციური კონტროლის დროს „სუბოტექსს“ ჯიბეში და არ წავა პოლიციაში (თენგიზ ერისთავი პრობაციონერი იყო და შესაბამისი პროცედურის გასავლელად მიდიოდა). ვიღაცას გავეჩხირე თვალში!“, — განაცხადა სასამართლოზე თენგიზ ერისთავმა.

მან ასევე დააფიქსირა, რომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ბარნოვის ქუჩაზე მოკლული ლაშა მახარაძის პანაშვიდზე იმყოფებოდა და მისი შესაძლო დაკავების შესახებ ინფორმაცია ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს შალვა შავგულიძესაც მიაწოდა.

სასამართლო პროცესს ასევე ესწრებოდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, რომლის განცხადებითაც, მისთვის ბრალდების არგუმენტები დამაჯერებელი არაა.

„არაა დამაჯერებელი, რომ პირი ოჯახის წევრებთან ერთად პრობაციის ბიუროში მიდის და ჯიბეში ნარკოტიკი უდევს. ჩემი აზრით, საქმე თეთრი ძაფით ნაკერს ჰგავს“, — განაცხადა კოჟორიძემ.

ბარნოვის ქუჩაზე მოკლული ლაშა მახარაძის მეგობრების მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე, სოციალური ქსელის ფეისბუქის მეშვეობით ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მეუღლემ ნათია ფანჯიკიძემაც გაავრცელა, მაგრამ დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, თენგიზ ერისთავის დაკავებიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ, 21 სექტემბერს მრგვალ ბაღში საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელსაც „პირველმა რადიომ“ რატომღაც „ვაკელების პროტესტი“ უწოდა (სხვათა შორის, 23 სექტემბერს „რუსთავი-2“-ის ეთერით გასულ გადაცემა „არჩევანში“ ძალიან ბოღმიანად და შინაგანი კომპლექსების სრული თაიგულით მოიხსენია „პრესტიჟული უბნების მცხოვრებლები“ საქართველოს პარლამენტის წევრმა ირმა ნადირაშვილმა).

საზოგადოების მღელვარებას პოლიციის მხრიდან გახშირებული ძალადობების შესახებ (ინტერნეტში გავრცელებულია უამრავი ფოტო თუ ვიდეომასალა, თუ როგორ უგრეხენ ხელებს პოლიციელები საკუთარი სახლის ეზოსთან ლუდის დალევისთვის პენსიონერ მამაკაცს, როგორ ეპყრობიან მოხუც ქალბატონს და ა. შ.), მაშინვე გამოეხმაურა ე. წ. კანონმდებელი გოგა ხაჩიძე, რომელმაც სოციალური ქსელით გაავრცელა იმ პოლიციელების გვარები, რომლებიც თითქოსდა თენგიზ ერისთავისთვის ნარკოტიკების ჩადებაში იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის დაამატა, რომ ეს ინფორმაცია მის მიერ გადამოწმებული არ იყო.

გოგა ხაჩიძე ვინც არის და რისთვისაც „იბრძვის“, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ჩნდება შეკითხვა: ნუთუ არ უნდა აგოს პასუხი ცილისწამებისთვის და სიცრუისთვის ამ ე. წ. „ხალხის რჩეულმა“, თუ მას დღევანდელი ხელისუფლებისგან ნაციონალობის მანდატი იცავს?

ნაციონალურ მოძრაობის წარმომადგენლების „ზრუნვას“ შესანიშნავი პასუხი გასცა თენგიზ ერისთავის ძმამ გიორგი ერისთავმა.

„მინდა, ხაზი გავუსვა ჩემი და ჩემი ოჯახის მოთხოვნას — ნუ იქნება პოლიტიზებული ეს თემა. ამ საკითხს პოლიტიკა უნდა მოშორდეს. მსურს, შევეხმიანო ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს თავიანთი „ბლანჟეიანი“ დეზინფორმაციის გამავრცელებლიანად, ხაჩიძეზე ვსაუბრობ, რომელიც სამართალდამცავების სრულიად სხვა, არასწორ გვარებს ასახელებს. ნაციონალური მოძრაობისგან ვერც დახმარებას, ვერც გვერდში დგომას ვერ მივიღებ. ჩემი ძმა კრიმინალად სწორედ თქვენმა მთავრობამ შერაცხა. მას პირველი ნასამართლობა ჰქონდა ნასვამ ექიმთან კონფლიქტის გამო, რაც მარტივ სასჯელს ითვალისწინებდა და არა ციხეში ამოლპობას. მეორედ კი, როდესაც ნაცმოძრაობის მოთხოვნაზე — არჩევნებზე მათ გვერდში დამდგრიყო და უარი თქვა, ნარკოტიკი ჩაუდეს. მაშინ სად იყო ხაჩიძე პოლიციელების სიით?“ — განაცხადა გიორგი ერისთავმა გადაცემაში „არჩევანი“.

აბსოლუტურად ვეთანხმები გიორგი ერისთავს, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ მიაკერეს კრიმინალის იარლიყები უამრავ წესიერ ადამიანს, უამრავ ახალგაზრდას, რომელთა ვაჟკაცობა, ინტელექტი და საზოგადოებაში ღირსეული ადგილი, ზემოთ ნახსენებ ბოღმას, კომპლექსებს და სიძულვილს უღვივებდა ნაცმოძრაობის კაცუნებს.

ისტორიკოსმა გიორგი ოთხმეზურმა განაცხადა: „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია შინაგან საქმეთა მინისტრისგან, რომ როდესაც სააკაშვილი სარფში შეხვდა ნაცმოძრაობას, იქ დაიგეგმა, რომ მოაწყონ არეულობა. ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყონ მოსახლეობა. ეს იყო არაპროფესიონალურად ჩატარებული სპეცოპერაცია ხალხის გასაღიზიანებლად“.

შს მინისტრი ნაციონალების მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციებზე ადრეც აკეთებდა განცხადებებს, მაგრამ ამჯერად საინტერესოა ის ხალხი, რომლებიც ეხმარებიან ნაციონალებს არეულობის მოწყობაში, ვინ იქცევა ისე, რომ ხალხი გაღიზიანდეს. ვინ უგრეხს ხელებს პენსიონერებს, შეურაცხყოფას აყენებს ქალებს და ახალგაზრდებს და ვინ ატარებს მსგავს „სპეცოპერაციებს“?!

ის კადრები ხომ არა, რომლებიც ჭადრაკისა და „ვეფხისტყაოსანივით“ მზითევად დაიტოვა ახალმა ხელისუფლებამ? ის საკადრო პოლიტიკა ხომ არა, რომელიც ყოფილი ჯალათების დაწინაურების საშუალებას იძლევა, ის განცხადებები ხომ არა, რომლებითაც ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის უპირველესი ამოცანა გახდა?!

ვერ დავეთანხმები საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის პათოსს იმის შესახებ, რომ ის, რაც ქვედა ეშელონებში ხდება, ზემოთ არ იციან, რადგანაც, თუ არ იციან, ეს კიდევ უარესია.

რომელ კურსს აირჩევს ხელისუფლება ქვეყნის სამართავად, შიშს თუ საქმის კეთებას?

როგორც უკვე ვთქვი, ეს ძალიან მალე გამოჩნდება და თენგიზ ერისთავის საქმე ნათელს მოჰფენს ყველაფერს.

თუ ხელისუფლება აირჩევს კურსს, რომლის განხორციელებისას არ იძნება მოძალადე პოლიციელი და მოძალაძე გათავისუფლდება ძუჩაში ნარკოტიკების ან იარაღის ჩადების შიშისგან, ხომ კარგი, თუ არადა, ხალხმა ძალიან კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიძცეს ასეთ შემთხვევაში.

გია გაბრიჭიძე

◎ ალიანჩალიანი

სოციალურად დაუცველთა ქულების დადგენისას ახალი კრიტერიუმები ამოქმედდება

სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის შეფასებისას სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლის სუბიექტური აზრი გათვალისწინებული არ იქნება, ასევე ამ პროცესზე გავლენას ვერ მოახდენს ოჯახში არსებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაგალითად ტელევიზორი, მაცივარი და სხვა პირველადი მოხმარების საგნები.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა მდგომარეობის შეფასების ახალ მეთოდიკაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა გაიოზ თალაკვაძემ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში ისაუბრა. თალაკვაძის თქმით, სიღარიბის ზღვარს მიღმა ოჯახების შეფასების კრიტერიუმები Unisef-თან ერთად მომზადდა. თალაკვაძის განმარტებით, შეფასების ქულების დადგენისას მთავარი განმსაზღვრელი იქნება ოჯახის შემოსავალი და თუ ოჯახს შემოსავალი აქვს, ის სიღარიბის ზღვარს მიღმა პირთა კატეგორიაში არ შევა. დღეის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულია 428 000 ბენეფიციარი. როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, სააგენტო გეგმავს ბენეფიციართა რაოდენობის იმ გზით შემცირებას, რომ მოხდეს მათი დასაქმება.

საკრებულოს ახალი შემადგენლობის შავი ლაქა

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი წყნეთის სარეკრეაციო ზონის სტატუსის შეცვლას საკრებულოს უპრინციპულობად აფასებს. როგორც პრესკონფერენციაზე ელისაშვილმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება არის საკრებულოს ახალი შემადგენლობის შავი ლაქა.

„ამ გადაწყვეტილების მიღება არის შედეგი ეკონომიკის სამინისტროს არაკომპეტენტურობის, არაკვალიფიციურობის და საკრებულოს უპრინციპობის. შედეგად მივიღეთ, რომ დაიკარგა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა. ნებისმიერი პროექტის სანაცვლოდ ასეთი ზონისთვის სტატუსის შეცვლა მიუღებელი და დაუშვებელია. ეს არის შავი ლაქა საკრებულოს ახალი შემადგენლობის“, — განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, ამ ტერიტორიის გადაცემაზე ეკონომიკის სამინისტრო ისე შეუთანხმდა გერმანულ მხარეს, რომ საკრებულოსთვის არაფერი უკითხავს.

საკრებულოს ბოლო სხდომაზე წყნეთის გზატკეცილზე მდებარე ნაკვეთს სარეკრეაციო ზონის სტატუსი შეეცვალა და საცხოვრებელ ზონა-6-ად გადაკეთდა.

დეპუტატების თქმით, ტერიტორია პირდაპირი გაყიდვის წესით უსასყიდლოდ არის გადაცემული გერმანელებისთვის, რომლებმაც იქ საგანმანათლებლო კომპლექსი უნდა ააშენონ.

ინტერპრესი

საქმე №1/70-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

23 სექტემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**
საარბიტრაჟო მოპასუხე: **მარიკა მაღრაძე**

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 4 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის მარიკა მაღრაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 4 სექტემბერს ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, მარიკა მაღრაძეს შორის დაიდო №091312286 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1650 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: MITSUBISHI PAJERO IO; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №H76W0122237. სარეგისტრაციო მოწმობა: AV7132642, სარეგისტრაციო ნომერი: JNJ089.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მარიკა მაღრაძეს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე, ქ. თბილისში, ი.პ. ივანოვის ქ. №31-ში, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მარიკა მაღრაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მარიკა მაღრაძე რეგისტრაციისა და ამავდროულად მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მარიკა მაღრაძეს (პ/ნ 01001066660) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. მარიკა მაღრაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მარიკა მაღრაძეს ეცნობოს, რომ 2014 წლის 15 ოქტომბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მარიკა მაღრაძის მიმართ.

5. მარიკა მაღრაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/66-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

23 სექტემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**
საარბიტრაჟო მოპასუხე: **მურად ნარმანია**

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 30 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის მურად ნარმანიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 7 ოქტომბერს ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, მურად ნარმანიას შორის დაიდო №101371340 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: VOLKSWAGEN TOUAREG; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2004; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WVGBC67L94D015092.

ხელშეკრულების 3.2.11 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე ირიცხება მიუღებელი სარგებლისა და ძირითადი თანხის ჯამის 0.3% ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მურად ნარმანიას გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ, ისე მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მურად ნარმანიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მურად ნარმანია რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მურად ნარმანიას (პ/ნ 19001098820) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. მურად ნარმანიას განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მურად ნარმანიას ეცნობოს, რომ 2014 წლის 15 ოქტომბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მარიკა მაღრაძის მიმართ.

5. მურად ნარმანიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ თბილისი-2015

კომისია მზადების ტემპით კმაყოფილია

გაისად საქართველოს დედაქალაქი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. თბილისი სპორტის ამ ფორუმისთვის დიდი ხანია ემზადება: შენდება ოლიმპიური სოფელი, ახალი ბაზები, კერძოდ, მძლეოსნობის სტადიონი, ტანვარჯიშის დარბაზი, საცურაო და ხელბურთის კომპლექსები, ჩოგბურთის კორტები, კეთილმოწყობა ძიუდოს აკადემია, კალათბურთის სპორტული კომპლექსი. ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადებასთან დაკავშირებით თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდნენ ევროპის ოლიმპიური

კომიტეტების საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე ჯოზეფ ლიბა და კომისიის წევრები: კატერინა ნიცოვა, კარეტოს სტრატოსი და ჯორჯ ვისაკი. სამი დღის განმავლობაში მათ დაათვალიერეს მშენებარე ობიექტები, შეხვდნენ დედაქალაქის მერს, სპორტის მინისტრს და ვიზიტი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენციით დაასრულეს. სეოკ-ში მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრას ესწრებოდნენ ჯოზეფ ლიბა, „თბილისი-2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. ვიზიტის შედეგები ლიბამ შეაფასა. საპატიო სტუმარი ნანახით კმაყოფილი დარჩა:

„თუ მშენებლობას დაგეგმილზე ოდნავ ადრე დაასრულებთ და ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, მიმაჩნია, რომ ეს იქნება ამ ფესტივალების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ოლიმპიური სოფელი. ვნახეთ ერთ-ერთი ოთახი, როგორც ნიმუში. დარწმუნებული ვარ, რომ აქ ჩამოსული ყველა სპორტსმენი და მათი მწვრთნელები საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილი დარჩებიან“. ლიბამ ხაზგასმით ისიც აღნიშნა, რომ ფესტივალამდე 10 თვეა დარჩენილი და კვლავაც ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. პრესკონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ ალექსი ახვლედიანი და ემზარ ზენაიშვილი, რომლებმაც თქვეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ „თბილისი-2015“ ოლიმპიური ფესტივალების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყოს.

ლაშა დიდია

◎ სტუმარი

მინისტრმა ევგენი გომელსკის უმასპინძლა



თბილისში 2-დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა საკალათბურთო კლუბ მოსკოვის „დინამოს“ ოფიციალური დელეგაცია კლუბის საპატიო პრეზიდენტის, ცნობილი საკალათბურთო ფუნქციონერის და მოღვაწის — ევგენი გომელსკის ხელმძღვანელობით.

საპატიო სტუმარმა შეხვედრები გამართა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძესთან და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანთან.

ცნობილ ექსპერტთან დიალოგის დროს მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაზე და იმ დიდი გამოცდილების გაზიარებაზე, რაც გომელსკის მისი სამწვრთნელო მუშაობის პერიოდში დაუგროვდა. სამინისტროში გამართულ შეხვედრას ცნობილი სპორტული კომენტატორი და საკალათბურთო მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი ესწრებოდა.

ევგენი გომელსკის სამწვრთნელო კარიერაში აღსანიშნავია რუსეთის ქალ საკალათბურთო ნაკრებთან ერთად მოპოვებული ოქროს მედლები 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოქროს შუალედის ძიებაში

რომან რურუა: მე არ ვემორჩილები ლუკა კურტანიძეს

გუშინ ჭიდაობის ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ რომან რურუამ პრესკონფერენცია გამართა. მისი განცხადებით, სამეთვალყურეო საბჭო და ვეტერანები ფედერაციაში მიმდინარე ყველა მოვლენას გააკონტროლებენ და ანგარიშს წარმოადგენენ.

რომან რურუა: (ჭიდაობის ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე): „ჩვენ გადავწყვიტეთ შევისწავლოთ ფედერაციის საქმიანობა ბოლო 2 წლის განმავლობაში, შემდეგ კი გამოვაქვეყნებთ დასკვნას. მე არ ვემორჩილები ლუკა კურტანიძეს. მას დაავალეს, რომ არაფერი მოიმოქმედოს სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე.“

ირაკლი დოლაბერიძე (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე): „ჩვენ არ ჩავერევით ფედერაციის შიდა საქმიანობაში, სამეთვალყურეო საბჭო დააკვირდება ფედერაციის მუშაობას. რასაც პრეზიდიუმი გადაწყვეტს, ჩვენ მხარს დავუჭერთ.“

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღეა, რაც ჭიდაობის ფედერაციაში დაძაბულობაა. როგორც მოქმედი ისე ვეტერანი მოჭიდაველების ნაწილი მოითხოვს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის გადადგომას.

კობა კობახიძე

◎ რაც ალხანაა, ისაა ჩალხანაც

აქამდე არ იცოდნენ?



თითქოს ქართულ საჭიდაო სამყაროში ატეხილი ბუნტი არ გვყოფნიდეს, სპორტული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ჩვენი სულთმობრძავი საფეხბურთო ოჯახი მოექცა.

კერძოდ, ჯოხი ამჯერად დაბალ ღობეზე — სამსაჯო კორპუსზე ტყდება, რომლის რვა წარმომადგენელიც, მათ შორის ფიფა-ს არბიტრი თორნიკე გვანცელაძე, საკმაოდ სოლიდური თანხის საფასურად, შემკვეთთათვის სასურველი რაოდენობის წითელ-ყვითელ ბარათებს აფრიალებდა და სამართალდამცავებმა სწორედ მწვანე ბანკნოტების გადაცემის ფაქტზე დააკავეს.

რასაკვირველია, გასათვალისწინებელია უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ რადგან ზემოთდასახელებული შაოსანისა და მისი კოლეგის ხუჭუას ვინაობა თვით ძალოვანმა სტრუქტურებმა გაასაჯაროეს, ჩვენც ამიტომ გაცნობთ მათ პერსონალურად.

ახლა კი მთავარზე. როცა ასეთი სკანდალური მოვლენა ხდება, მინიმუმ, სამსაჯო კომიტეტის თავკაცი მაინც უნდა იღებდეს რაიმე ფორმით პასუხისმგებლობას თავის თავზე, აღარაფერს ვამბობ თვით ფეხბურთის ფედერაციის მარადმწვანე „გენსეკისა“ და მისი უდიდებულესობა პრეზიდენტის გადადგომაზე. არაფერი მსგავსი — ბომბის გასკდომისთანავე სხვადასხვა ტელეარხებზე გამობრწყინებულმა სფფ-ს მაღალჩინოსნებმა, ტრადიციისამებრ, მუნდირის ღირსების შენარჩუნება გაიხადეს თვითმიზნად და, თითქოს აქ არაფერიო, ვითარების დრამატიზებისგან დისტანცირებისკენ მოგვიწოდეს.

ჰოდა, გეკითხებით — როცა შეფები ასე იქცევიან, ეროვნული ნაკრების ძლევამოსილი მესაჭე განანებაყოფლობით დათმობს ქერის ორმოს?!

გუშინ სფფ-მ რვავე ეჭვმიტანილი მსაჯი სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯა.

გიორგი შოთაძე

◎ მშვილდოსნობა

ქალებმა უკეთ იასპარეზეს

ხელვაჩაურის ახალსოფლის სტადიონზე მეოცედ გაიმართა მშვილდოსანთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად თურქეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სულ პირველობისთვის 71 სპორტსმენი იბრძოდა.

ქალებში კვარცხლბეკზე მხოლოდ ქართველები ავიდნენ: ხელვაჩაურელმა ხათუნა ნარიმანიძემ ფინალში თბილისელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ქრისტინე ესებუას აჯობა — 6:4. ბრინჯაოს მედალიც ხელვაჩაურელმა იულია ლობჟანიძემ დაისაკუთრა — მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მან თურქეთის სახელით მოასპარეზე და სპორტში დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნებული ნატო ნასარიძე დაამარცხა.

ვაჟებში ფინალი სტუმრებმა გაითამაშეს: აზერბაიჯანელმა ტარას სემიუკმა თურქ ჯავათ დემირელს მოუგო. ბრინჯაო ქუთაისელ ჯაბა მოსეშვილს ერგო.

შერეულ წყვილებშიც აზერბაიჯანელებმა იყოჩაღეს. ვერცხლი თურქებს, ბრინჯაო კი თბილისელებს — ქრისტინე ესებუას და აკაკი ლეკვეიშვილს ხვდათ.

ნ ოქტომბერს ქართველი ჩუბინები თბილისში ქვეყნის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. ამით ჩვენი მშვილდოსნები წლევანდელ სეზონსაც დაამთავრებენ.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

შიშველი სხეული სპორტული მაისურისთვის

მსოფლიოში სახელგანთქმულმა სპორტული ტანსაცმლის ბრენდმა „ადიდასმა“, ახალი ფორმა გამოუშვა შოტლანდიის მეორე დივიზიონის კლუბ „ეირ იუნაიტედისთვის“, პრეზენტაცია კი უჩვეულო გაიმართა, — საკმაოდ მომხიბლავ გოგონას კლუბის ახალი ფორმა შიშველ სხეულზე ჰქონდა დახატული.

„ადიდასის“ ახალი ნაწარმის შეძენა გუნდის ოფიციალურ მაღაზიებშია შესაძლებელი 45 გირვანქად. მაისური შავი ფერისაა და საყელო და სახელო აქვს თეთრი ზოლით. შოტლანდიურმა კლუბმა 2012 წელსაც ამავე ხერხს მიმართა ფორმის პრეზენტაციისთვის — მათ ორი ნახევრადშიშველი მოდელი წარუდგინეს საზოგადოებას გუნდის ახალი მაისურით.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ საყდრისის გადასარჩენად

სასამართლო დავა და კარვების აქცია გრძელდება

საყდრისის დასაცავად ბრძოლა თბილისსა და საყდრისში გრძელდება — თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნათია ბუსკაძე 1 ოქტომბერს გააგრძელებს საყდრისის უძველეს მაღაროსთან დაკავშირებული საქმის განხილვას. პარალელურად საყდრისში გრძელდება კარვების აქცია, რომლის მონაწილეები საყდრისის გვერდითა ბორცვზე ვართ დაბანაკებულები. დღეს, 26 სექტემბერს კარვების აქციის დაწყებიდან 166 დღე შესრულდა.

საყდრისთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ 24 სექტემბერს იმსჯელა. იმ დღეს ერთმა მოსამართლემ ნათია ბუსკაძემ საყდრისთან დაკავშირებით ორი საქმე განიხილა. ორივე ეხებოდა კულტურის მინისტრის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის ალექსანდრე მარგიშვილის მიერ 13 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც კომპანია "არემჯი გოლდს" წერილობით აცნობა, საყდრისზე ფართომასშტაბიანი სამუშაოები შეგიძლიათ დაიწყოთო.

მარგიშვილის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთობლივად გაასაჩივრეს კახა კოჟორიძემ (რომელიც აჰო. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელმა) და დალი მამულაშვილმა (კაზრეთის მკვიდრმა). კოჟორიძე-მამულაშვილმა სასამართლოსგან 13 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვეს. იგივე მოთხოვნით სასამართლოს მიმართა კულტურის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა.

სასამართლოში მოპასუხეები არიან საქართველოს მთავრობა და კულტურის სამინისტრო. საქმეში მესამე პირადაა ჩართული კომპანია „არემჯი გოლდი".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორივე საქმე მოსამართლე ნათია ბუსკაძესთან მოხვდა. 24 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოსარჩელეებმა ხსენებული ორი საქმის გაერთიანება მოითხოვეს, რადგან ეს საქმეები ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული გახლდათ. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რის შემდეგაც დაინიშნა მომდევნო სხდომის თარიღი — 1 ოქტომბერი. სავარაუდოდ, ამავე დღეს გახდება ცნობილი ამ საქმის განხილვა დროებით შეჩერდება თუ არა.

საქმე ისაა, რომ საყდრისთან დაკავშირებით კიდევ ერთი პროცესი მიმდინარეობს — სააპელაციო სასამართლო 29 ოქტომბერს განიხილავს კულტურის სამინისტროს საჩივარს, რომელიც ეხება საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსს. კულტურის ახლადდანიშნულმა მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ 1 აგვისტოს გაასაჩივრა დავით სახვაძისა (მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე) და აჰო. „მწვანე ალტერნატივის" მიერ პირველ ინსტანციაში მოგებული პროცესი.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 5 ივლისს კულტურის იმჟამინდელმა მინისტრმა გურამ ოდიშარიამ საყდრისს უძრავი ძეგლის სტატუსი მოუხსნა, რაც დავით სახვაძემ და "მწვანე ალტერნატივამ" სასამართლოში გაასაჩივრეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ ბათილად ცნო კულტურის მინისტრის 5 ივლისის ბრძანება №03/108 და სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლითაც საყდრისს არქეოლოგიური დაცვის ზონა გაუუქმდა და ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის სტატუსი მოეხსნა. პარალელურად, მოსამართლემ კულტურის სამინისტრო დაავალდებულა განსაზღვრულ ვადაში ემსჯელა საყდრისის სტატუსთან დაკავშირებით. ამასობაში კულტურის მინისტრი შეიცვალა და ახლადგამინისტრებულმა გიორგაძემ საყდრისის სტატუსზე მსჯელობას გასაჩივრება ამჯობინა.

24 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოსარჩელეების წარმომადგენლებმა —სულხან სალაძემ და ლალი პეტრიაშვილმა ერთ-ერთ შუამდგომლობად დაიყენეს საქმის განხილვის შეჩერება, სანამ საყდრისის სტატუსის ირგვლივ სააპელაციოს გადაწყვეტილება არ გახდება ცნობილი.

24 სექტემბრის სხდომაში მონაწილეობდნენ: მოსარჩელე დალი მამულაშვილი; მისი და კახა კოჟორიძის წარმომადგენლები — სულხან სალაძე და ლალი პეტრიაშვილი; ეს ორი ადამიანი სასამართლოში მარინე მიზანდარის ინტერესებსაც იცავდა, რომელიც სხდომას არ დასწრებია; საქართველოს მთავრობას ზაზა თაქთაქიშვილი წარმოადგენდა; კულტურის სამინისტროს — თეიმურაზ მეშველიანი და მარიამ ჯიბლაძე; „არემჯი გოლდს" — თეიმურაზ ოჩიგავა. დარბაზი სავსე იყო, იქ დაახლოებით საყდრისის 30-მდე გულშემატკივარი და მცველი იჯდა, მათ შორის სხვადასხვა ტელეარხების ჟურნალისტები.

ბოლო დღეების განმავლობაში საყდრისში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ამინდი გაუარესებული იყო - თითქმის ყოველდღე წვიმდა და სამივე კარავი სველდებოდა.

საყდრისის დასაცავად მიმდინარე აქციაში ვმონაწილეობთ: ირაკლი ლომიძე, გაიოზ მეხრიშვილი, და „პატრიოტთა ალიანსის" ბოლნისის ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები: დიმიტრი ჩაგელიშვილი, ჯუბა ჩაგელიშვილი, თორნიკე ვარსიმაშვილი, გიორგი დემურაშვილი და ნიკა ნონიაშვილი. კაზრეთიდან ჩვენთან ძალიან ხშირად მოდიან და თავიათი შესაძლებლობის ფარგლებში გვერდში გვიდგანან დალი მამულაშვილი და დათო მახნიაშვილი. საყდრისის დასაცავად მიმდინარე აქციისთვის 14 აპრილიდან მოყოლებული დღემდე შემოწირულობას აგზავნიან უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები და ასევე გვეხმარებიან აქაური ქართველები. თითოეული შემომწირველის ვინაობას ყოველი თვის დასაწყისში ინტერნეტით ვაქვეყნებ (ეს ინფორმაცია სააგენტოებითაც ვრცელდება).

საყდრისთან ახლოს, ძეძვების ნამოსახლარზე ქართულ-გერმანული ექსპედიცია, ირინე ღამბაშიძისა და თომას შტოლნერის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს. მათ საყდრისზე ასვლის (ასევე მაღაროში შესვლის) და იქაურობის დათვალიერების ნება დართეს, რის უფლებასაც აქამდე "არემჯი გოლდი" არ აძლევდათ. ირინე ღამბაშიძის განმარტებით, ისინი აღნუსხავენ რა არის დანგრეული და განადგურებული.

სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველისთვის საყდრისის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე უფრო დეტალურ ინფორმაციას მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ, მას შემდეგ, რაც ჩავწერ ინტერვიუს ქართულ-გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელებთან და შესაბამის კითხვებს დავუსვამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს.

ნინო მიქიაშვილი,
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის"

სკოლაში მენინგიტის სამი შემთხვევა გამოვლინდა

ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოს სკოლაში, სავარაუდოდ, მენინგიტის სამი შემთხვევა გამოვლინდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს, სოფელ ქვემო საზანოში სამი ბავშვი ვირუსით დაინფიცირდა. მათივე თქმით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს სავარაუდოდ, მენინგიტის ინფექციაა, თუმცა, აღნიშნული ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დაადასტუროს.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერებული არ არის და სწავლის შეწყვეტის რეკომენდაციით, მათ ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა მიმართოს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციითვე, მათმა უწყებამ საქართველოს მასშტაბით ყველა, 2085 საჯარო სკოლას ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული რეკომედაციები გადაუგზავნა.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების" და „ახტელის" ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ილია (ბაჩი) და ქალბატონ ხათუნა ინჯიებს ბებიის, ქალბატონ

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

უახლოესი მეგობრები ვალერი ნანიევი, ალექსი გვარამაძე, ირაკლი ნავროზაშვილი ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და მეგობარი

მურმან სხულუხია

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი 800 ლარით დააჯარიმეს

2014 წლის 9 სექტემბერს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის ზომად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 800 ლარის ოდენობით ჯარიმა შეუფარდა.

„საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი თანამშრომლის იური საროკინის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლის მიზნით, თეატრიდან წერილობით გამოითხოვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დაარღვია კანონის მოთხოვნა და საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია სახალხო დამცველის აპარატს არ მიაწოდა. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი ადგენს, რომ მასალა, საბუთი, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მასალა, საბუთი და სხვა ინფორმაცია მოთხოვნილია წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში საბუთი და სხვა ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს 10 დღის ვადაში", — განმარტავენ ომბუდსმენის აპარატში.

მათივე ინფორმაციით, კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველმა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, სამხატვრო ხელმძღვანელის მიმართ ადმინისტრაციული წესით სანქციის გამოყენება მოითხოვა.

მდინარე ჭოროხმა ცხედარი გამორიყა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს ხიდთან, მდინარე ჭოროხმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა. როგორც აჭარის საგანგებო სამსახურში განაცხადეს, 40 წლამდე მამაკაცი მახოში მცხოვრები მებადური იყო.

სამაშველოს ინფორმაციით, მამაკაცის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა და სავარაუდოდ, იგი ადიდებულმა მდინარემ წაიღო.

ქობულეთის სანაპიროდან ზღვაში დაკარგული მამაკაცის ცხედრის პოვნა კი ამ დრომდე არ ხერხდება. სამაშველო სამსახურის ცნობით, 30 მაშველი აკვირდება ზღვის ზედაპირს და საშტორმო მდგომარეობის მოხსნის შემდეგ ზღვაში სამძებრო ღონისძიებები დაიწყება.

ორი გარდაცვლილი ახალშობილი ერთ საავადმყოფოში

ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში გარდაცვლილი ერთ-ერთი ახალშობილის ოჯახმა ექიმის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" უწყებაში განუცხადეს, ოჯახის მიმართვის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება 116 მუხლით დაიწყო, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას ითვალისწინებს.

არსებული ინფორმაციით, ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში ბოლო 24 საათის განმავლობაში ორი ახალშობილი გარდაიცვალა, მათ შორის ერთი დაბადებიდან რამდენიმე წუთში. ორივე დაღუპულის ოჯახი მომხდარში ექიმს ადანაშაულებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა დოკუმენტაცია უკვე გამოითხოვა.

როგორც დეპარტამენტის უფროსმა ლადო კეპულაძემ განაცხადა, სწორედ სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ გაირკვევა, დაექვემდებარება თუ არა გარდაცვლილ პაციენტთა საქმეები შესწავლას.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ტესტი

შემოდგომა რომანტიკის დროა!

აი, ძალას იკრებს შემოდგომა – რომანტიკული დღეები! ჩვენი ტესტი დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, რამდენადაა თქვენთვის დამახასიათებელი რომანტიზმი და თუ გახასიათებთ პრაგმატიზმი.

1. ამ სამი სიმღერის სიტყვებიდან რომელი უფრო შეესაბამება თქვენს სულს:

ა) „ახ ნეტავი მე ზღვა ვიყო“...

ბ) „სიყვარულო, ძალსა შენსა“...

გ) „მშვიდობით – არა, ნახვამდის“...

2. თქვენი აზრით, ოცნება – ესაა...

ა) კოშკები ქვიშაზე, რისთვისაც ზოგჯერ უამრვი ძვირფასი დრო იკარგება;

ბ) ის, რაც გვამშვიდებს და გვიბიძგებს წინსვლისათვის;

გ) უბრალო პეპლები: პრაქტიკული სარგებელი, შეიძლება, ცოტა აქვს, მაგრამ ცხოვრებას აკაშკაშებს.

3. დაასრულეთ ფრაზა: ერთი შეხედვით სიყვარული – ესაა...

ა) ღვთის ნაბოძარი;

ბ) მოჩვენება, ყველა მასზე ლაპარაკობს;

გ) ციებ-ცხელება, ჰორმონების შმაგობამ რომ გამოიწვია.

4. ამ გამონათქვამებიდან რომელია თქვენთვის უფრო მახლობელი:

ა) „სიყვარული – ესაა თამაში, რომელშიც ყველა ცუღლუტობს“;

ბ) „სულები ერთმანეთს შეყვარებულთა ტუჩებზე ხვდებიან“;

გ) „სიყვარულში გონებას კარგავენ, ქორწინებაში კი ამ დანაკარგს ამჩნევენ“.

5. საყვარელი ადამიანისთვის თქვენ მზადა ხართ:

ა) ცას ვარსკვლავი მოსწყვიტოთ;

ბ) წახვიდეთ მმაჩის ბიუროში;

გ) წახვიდეთ პურზე და (ან) გამოიტანოთ სახლიდან ნაგავი.

6. მოგწონთ დღის განმავლობაში საყვარელ ადამიანთან სხვადასხვა ნაზი გზავნილებით ურთიერთობა ელექტრონული ფოსტით ან მობილური ტელეფონით?

ა) დიახ;

ბ) ზოგჯერ;

გ) არა.

7. დასახელებული პერსონაჟებიდან, რომელია თქვენთვის ყველაზე სიმპათიური?

ა) ნაცარქექია;

ბ) მერი პოპინსი;

გ) წითელქუდა.

8. შეგიძლიათ შეიყვაროთ ხმის ტემბრის გამო?

ა) ძნელად სავარაუდოა;

ბ) სავსებით შესაძლებელია;

გ) ასეთი რამ ხდება.

9. პირველ პაემანზე თქვენ, ალბათ, დათანხმდებოდით.

ა) რესტორანში წასვლას;

ბ) საღამოს ქალაქში სეირნობასა და ვარსკვლავიან ცასთან საუბარს;

გ) მასთან სახლში მიპატიჟებას.

10. თქვენი სიყვარულის გულისთვის შეგეძლოთ, უარი გეთქვათ საკარიერო მისწრაფებაზე?

ა) ვფიქრობ, რომ არა;

ბ) ალბათ, კი;

გ) არ ვარ პასუხისთვის მზად.

ცხრილის დახმარებით შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	2	1	2	1	3	3	2	1	2	1
ბ	1	3	1	3	2	2	3	2	3	3
გ	3	2	2	2	1	1	1	3	1	2

10-16 ქულა. არ შეიძლება, თქვენ გიწოდონ რომანტიკოსი, მაგრამ არაფერი გიშლით ხელს, ცოტა ხნით გახდეთ ასეთი! საკუთარ თავსა და მეორე ნახევარს მოუწყვეთ დღესასწაული, მაგალითად, ვახშამი სანთელთან. ხოლო თუ მარტოსული ხართ, გაიხსენეთ, რომ სწორედ ახლაა მიმზიდველი ნაცნობობის დიდი ალბათობა იმ პირობით, რომ გამოხვალთ სახლიდან და გახვალთ ბუნებაში, იმის ნაცვლად, რომ ჩაერთოთ მორიგი სერიალის გმირების სასიყვარულო ვნებებში.

17-23 ქულა. რომანტიზმი თქვენთვის უცხო ხილი არაა, თუმცა, თქვენში არის პრაგმატიზმიც, და იგი ხშირად გიხშობთ გულის ხმას, რის გამოც ზოგიერთი თქვენი ოცნება განუხორციელებელი რჩება. რომ არ ინაღვლოთ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების გამო, ისწავლეთ უფრო ყურადღებით, მოუსმინოთ თქვენს გულს და მეტად ენდოთ მას.

24-30 ქულა. ვულოცავთ თქვენს საყვარელ ადამიანს, უკვე გარკვევით ხომ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ რომანტიკური ნატურა ბრძანდებით! თქვენ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქორწინება ცაში ისკვნება, ვინაიდან ბედნიერი ოჯახის წარმატება, უწინარეს ყოვლისა, სიახლოვესა და სულთა შერწყმაშია. რამდენ ხანსაც უნდა გრძელდებოდეს რომანი, თქვენ სავსებით შეგიძლიათ, თავიდან აიცილოთ მოწყენილობა ურთიერთობებში. მთავარია – არ დაიზაროთ და ხშირად გააოცოთ ხოლმე პარტნიორი.

◎ ინფორმაცია

1000-ზე მეტ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის 126-ე საჯარო სკოლას ეწვია და სამინისტროს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, სკოლაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ზაფხულის განმავლობაში 126-ე საჯარო სკოლაში გარემონტდა და მოეწყო 30 საკლასო ოთახი, შეკეთდა სახურავი, უახლოეს მომავალში ამოქმედდება ექიმის კაბინეტიც. სკოლაში 1 000-მდე მოსწავლეა. ცალკე ფლიგელშია განთავსებული პირველკლასელთა საკლასო ოთახები. 2014 წელს ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, ოთხი სართულიდან სამი სართული გარემონტებულია, მეოთხე სართულის სარემონტო სამუშაოები სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყება.

ამ ეტაპზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით 1000-ზე მეტ სკოლაშია ჩატარებული, აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ორი ახალი თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლა, 2014 წლის ბოლომდე ხუთი ახალი სკოლა ამოქმედდება, ხოლო 2015 წლის დასაწყისში ორი ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდება. 2014 წელს 1500-ზე მეტი სკოლა აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, მოხდა 44 საჯარო სკოლის გაზიფიცირება და 34 სკოლაში ახალი გათბობის სისტემა დამონტაჟდება.

ვაჟა ჭყონიას სიცილის კარდიოგრამა ქუთაისიდან

გახედვნა

გურიაში ნათესავთან ვარ სტუმრად და მეზობელ სახლში ვაი-უშველებელი ატყდა.

– გადადი ერთი. გეიგე, რაშია საქმე? ფარსაგი არაფერი სჭირდეთ. – სთხოვს ოჯახის უფროსი მეუღლეს.

– არაფერია, იორამას ხედნიან შარვალში. – დაგვამშვიდა მეზობლიდან მალე მობრუნებულმა დიასახლისმა.

თურმე მეზობლის ბალღს სკოლაში წასასვლელად ამზადებდნენ. მანამდე პატარა იორამა პერანგის ამარა დატანტალებდა და ახლა მხოლოდ ტრუსი კი არა, შარვალიც რომ ჩაეცვა, გახედვნა დასჭირვებია.

* * *

სიყვარულო ძალსა შენსა...

როგორც იმერეთში ჩვევიათ, მიცვალებულს დაკრძალვისას ყველაზე საყვერელ ნივთებს ჩაატანენ.

იმ დღეს თავიკაცი მე ვარ და ჭირისუფალს – ვეკითხები, ყველაზე მეტად შენს სიმამრს რა უყვარდა-მეთქი.

– არ კი არა, ვინო! – მიპასუხა და ჩამჩურჩულა, – ჩემი სიდედრი.

კიდევ კარგი, მისი ნათქვამი ჩემმა მოგუდულმა სიცილმა ჩაახშო და ჭირისუფლის სიდედრმა კიდევ კარგა ხანს იცოცხლა.

ყველას თავისი აძვს სატკივარი

კუბოში ჩასვენებულ ქმარს ცოლი დასტიროდა:

– რა მიქენი, ბონდოია, 15 წლის წინათ მაინც მომკვდარიყავი, ვინღა გამოიხედავს აწი ჩემსკენ?

ძლივს აადღლიზეს ცხედარს...

რას იზამ, ამ ქვეყნად ყველას თავისი საფიქრალ-სატკივარი აქვს.

* * *

ფიცი-მტკიცი

ბონდოია მეზობლის ქორწილში არ დაპატიჟეს.

წყენა არ დაიმჩნია, მაგრამ შური იძია – ქორწილის დღეს სამზარეულოში შეიპარა და პირში ბოლოკგაჩრილი გოჭი მოიპარა, შინ მიიტანა, აკვანში ჩააწვინა, ჩვილივით შეფუთნა და აკვანს რწევა დაუწყო.

თავიკაცებმა, როგორც კი გოჭის დაკარგვა შეიტყვეს, ეჭვი ბონდოიაზე მიიტანეს და შინ შეუცვივდნენ. არადა, ბონდოია ზის და აკვანს არწევს.

– სადაა გოჭი? – ისე უყვირეს, რომ ყურის ბარაბანი კინაღამ გაუსკდა.

– ამ აკვანში რომ წევს, ამისი ძვლები დავიკავო პირში, თუ თქვენი გოჭისა რაიმე ვიცოდე! – წყევლა-კრულვა და ფიცი-მტკიცი არ დაიშურა ბონდოიამ.

* * *

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ჩემმა მეგობარმა კოლიამ შვილის ქორწილი გადაიხადა... მე თამადად გახლდით და სუფრაზე იმდენი ხალხი ისხდა, მერიქიფეები მოტოციკლეტებით გვემსახურებოდნენ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 9-62-77; 568 82-09-84..

◎ ფოტოფაქტი



გერმანიაში გაჩნდა „საჭმელად ვარგისი“ ქანდაკებები. რამდენიმე ასეული ასეთი სხვადასხვა საკვები ნაწარმოების შექმნისათვის დაიხარჯა 300 ათასი გოგრა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24